ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N17

ქ.თბილისი

25 ნოემბერი, 2022 წელი
11[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
საბა ბუაძე
ოთარ გრიგოლია
ნინო ვარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი
მიხეილ კაკაურიძე
ნინო კვიტაიშვილი
ცოტნე კობერიძე
ლილე ლიპარტელიანი
შალვა ოგბაიძე
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
ვახტანგ სურგულაძე
ზურაბ ჩიკვილაძე
ავთანდილ ცინცაძე
ირაკლი ხელაძე
ლევან ჯაფარიძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი
აკაკი ალადაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე
ანა გოგოლაძე
მამუკა გუგეშაშვილი
კონსტანტინე ზარნაძე
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
სალომე კობალაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ირაკლი ნადირაძე
გიორგი ონიანი
ლევან ჟორჟოლიანი
რევაზ სოხაძე
გიორგი შარაშიძე
გივი ჩხარტიშვილი
ნინო წულაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
სოფიო ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნათია ვერძაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის უფროსი თეიმურაზ ბოლოთაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე და ოთარ ჩიტიძე.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო უერთდება გენდერული ძალადობის წინააღმდეგ დაწყებულ 16 დღიან კამპანიას, რომლის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად. მსოფლიოს 187 ქვეყანაში და საქართველოშიც არაერთი უწყებაა ჩართული კამპანიაში, მათ შორის, განსაკუთრებით გამოირჩევიან ძალადობის მსხვერპლთათვის სერვისის მიმწოდებელი უწყებები. ფემიციდის აღმოფხრვის მიზნით, ერთიანდებიან კერძო სექტორი, საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები და სტუდენტები. ჩვენს ქვეყანაში ფემიციდის გახშირებული ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ თითოეული ჩვენგანი ვალდებულია ისაუბროს, გამოიყენოს ყველა პლატფორმა და შესაძლებლობა და განახორციელოს ყველა პროგრესული რეფორმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, მით უფრო, რომ ქალთა გაძლიერება არის ჩვენი პოლიტიკური იდეოლოგიის ნაწილი. არცერთი ქალი არ უნდა გაჩუმდეს და მოითმინოს ძალადობა, რადგან დუმილი გამოსავალი არ არის. არცერთი ქალი არ უნდა დარჩეს მარტო ამ პრობლემასთან, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვისაუბროთ იმ სერვისებზე, რომლებსაც სახელმწიფო სთავაზობს ძალადობის მსხვერპლ ქალებს. საუბრის ბოლოს, თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ინიციატივით, თბილისის ანძა განათდა ნარინჯისფრად, რითიც გამოხატა სოლიდარობა და შეუერთდა მსოფლიოს კამპანიას ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად.

ნინო ვარდოსანიძემ განაცხადა, რომ უერთდება და იზიარებს ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის შინაარსს და მიზანს. მისი თქმით, სამწუხაროდ, ამ მხრივ და განსაკუთრებით ქალებზე ძალადობის კუთხით, მთელ მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაშიც მძიმე მდგომარეობაა. სხვადასხვა პერიოდულობით, ვისმენთ ინფორმაციას საკმაოდ მძიმე შემთხვევების შესახებ, რომლებიც ხშირად სავალალო შედეგით სრულდება, რაც უმეტესად იმ სიჩუმის ბრალია, რომელსაც თავად ძალადობის მსხვერპლი ქალები და მათ ირგვლივ მყოფი ადამიანები იჩენენ. კამპანია არის 16 დღიანი და ყველა აქტივობა ემსახურება ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას, თუმცა, ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს ძალადობასთან ბრძოლა და ქმედითი ღონისძიებების გატარება. ეს არის ის საკითხი, სადაც გულგრილობა და ზერელე დამოკიდებულება არავის ეპატიება, მნიშვნელოვანია, ყველამ სათანადოდ გავიაზროთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ძალადობას გამართლება არ აქვს.

ცოტნე კობერიძემ აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ხშირია ძალადობის ფაქტები და განაცხადა: „მე მინდა ისეთი ქვეყანა ვაკეთოთ, სადაც ღირებულებები გვაქვს და ამ ღირებულებებზე ბევრს ვისაუბრებთ და გამოვასხივებთ. მე მინდა, რომ, როდესაც ბავშვი სკოლაში მივა, უთხრან, რომ სიცოცხლის უფლება აქვს და ეს ფუნდამენტურია, რომ ბედნიერების უფლება აქვს... მინდა ბევრი ვისაუბროთ პოლიტიკოსებმა... მინდა გვესმოდეს, რომ გვაქვს ერთი სიცოცხლე და ამ სიცოცხლეს სჭირდება მოფრთხილება... ქალებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ ისინი დაიწყებენ საუბარს, რომ ვინმე მას ავიწროვებს, ეს მისთვის დისკომფორტი არ გახდება“. თუმცა, ამას ვერ ვახერხებთ, რადგან ჩვენთან ბავშვი რომ სკოლაში მიდის, სწორედ იქ შეიძლება წააწყდეს ძალადობის პირველ პრეცედენტს, რადგან მიხვდეს, რომ ვინც თავს ავტორიტეტად გრძნობს, შეუძლია მასზე იძალადოს; ოჯახური ძალადობის ფაქტზე მისული პოლიციელი წერს შემაკავებელ ოქმს, თუმცა, სამწუხაროდ, გულის სიღრმეში მასაც ჰგონია, რომ მოძალადე შეიძლება რაღაც ჭრილში მართალი იყოს; ადამიანები ტელევიზორებს ჩართავენ და ხედავენ, რომ საკრებულოს წევრები „მუშტებზე იყურებიან“ და ძალადობა მიაჩნიათ საკუთარი იდეის გატანის საშუალებად. ცოტნე კობერიძის თქმით, ყველა ქვეყანას აქვს ძალადობის პრობლემა და მით უმეტეს საქართველოს, რადგან ენაშიც კი გვაქვს დამკვიდრებული ისეთი სიტყვები, სადაც ქალს ვუყურებთ არსებას, რომლის

დაჩაგვრაც „მოსულა“ და ეს არის დასამარცხებელი. მისი თქმით, უნდა, რომ საქართველო იყოს ისეთი ქვეყანა, სადაც ქალს დაცული ექნება საკუთრების უფლება, ექნება სამსახური, საკუთარი შემოსავალი, არაფრით იქნება დამოკიდებული მომალადე ადამიანზე და არ შეეშინდება იყოს დამოუკიდებელი, თუმცა ამას ვერ ვახერხებთ. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ რაც შეიძლება მეტი უნდა ვისაუბროთ ღირებულებით საკითხებზე, უფრო ნაკლებად დავწვრილმანდეთ და ვიჩხუბოთ იმაზე, თუ ვის პარტიაში რა როგორ ხდება და ვის რა მოგვწონს ან არ მოგვწონს, რადგან ჩვენ ვართ ის ადამიანები, რომლებსაც ეს ყველაფერი აწუხებს.

ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ დაწყებულ 16 დღიან კამპანიას და აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში იმდენად მძიმე და აქტუალურია ეს საკითხი, რომ კვირა არ გავა ისე, ძალადობის შესახებ ინფორმაცია არ გავიგოთ. მისი თქმით, არათუ 16 დღე, არამედ ყოველ დღე უნდა გვქონდეს ამაზე საუბარი, უნდა ვიყენებდეთ ყველა, პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ ინსტრუმენტს და ტრიბუნას ძალადობის აღმოსაფხვრელად და ვდგამდეთ ქმედით ნაბიჯებს. ანა გოგოლაძემ ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტის პირველად პროექტზე, რომელიც, მისი აზრით, არსებითად არ შეიცვლება და აღნიშნა, რომ ბიუჯეტი მთავრობის ხელში არის ის ინსტრუმენტი, რომელიც მმართველ გუნდს საშუალებას აძლევს უპასუხოს დედაქალაქში არსებულ საჭიროებებს, გამოწვევებს და დაკვეთებს. მისი თქმით, 2023 წლის ბიუჯეტი არის მიმდინარე წლის ბიუჯეტის ინერციით გაგრძელება და სამწუხაროდ, პრიორიტეტულ საკითხებში არ არის რაიმე მნიშვნელოვანი ისეთ გამოწვევაზე, როგორიც არის უსაფრთხოება. განაცხადა, რომ უმრავლესობის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებებით, ბიუჯეტი იზრდება, რაც, მისი თქმით, არის „მანიპულაცია“, რადგან, რეალურად, 2023 წლის ბიუჯეტი დღეს მოქმედ ბიუჯეტთან შედარებით მცირდება 121000000 ლარით და შესაბამისად, დაფინანსება იკლებს თითქმის ყველა მიმართულებით, გარდა ბიუროკრატიის და ხელფასების იმ ნაწილისა, რომელიც იყო დაანსონსებული. მნიშვნელოვანია, რომ საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, ქვეყანაში გვაქვს ორნიშნა ინფლაცია, რაც ნიშნავს იმას, რომ მომავალ წელს, ინფრასტრუქტურული და სოციალური მიმართულებებით მოსახლეობა მიიღებს უფრო ნაკლებ სერვისს, ვიდრე იღებდა გასულ წლებში. ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ ოპოზიციამ იმუშავა რეკომენდაციებზე და იმედი გამოთქვა, რომ თბილისის მთავრობა გაიზიარებს მნიშვნელოვან კომპონენტებს. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც საკრებულოს წევრია, უსინათლოების თხოვნით, მუშაობს მათ საკითხებზე და ქეთევან წამებულის გამზირის რეაბილიტაციისას, ითხოვდა, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო უნივერსალური დიზაინის კომპონენტები, რადგან ეს არის ის ადგილი, სადაც დიდია უსინათლოების კონცენტრაცია იქიდან გამომდინარე, რომ აქვე მდებარეობს უსინათლოების სკოლა. თუმცა, ინფრასტრუქტურა, კერძოდ, ტაქტილური ბილიკები, ხმოვანი შუქნიშნები და ავტობუსების მონიშვნა, შეიძლება ითქვას, რომ იგნორირებულია, რადგან ფრაგმენტულად გვხვდება გაუმართავი ხმოვანი შუქნიშნები და შესაბამისად გაუგებარია, რისთვის არის დამონტაჟებული. აქედან გამომდინარე, განაცხადა, რომ ასეთი ფრაგმენტული და პროფორმული ღონისძიებები ამ ადამიანებს რეალურად არანაირ შეღავათს არ აძლევს და როდესაც ვხარჯავთ საბიუჯეტო სახსრებს, მათ უნდა გავუმარტივოთ ქალაქში გადაადგილება. საუბრის ბოლოს, იმედი გამოთქვა, რომ თბილისის 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება თანხა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით სარგებლობისთვის და ასევე, ითხოვა, რომ წერეთლის და რუსთაველის გამზირების რეაბილიტაციისას გათვალისწინებული იქნას უნივერსალური დიზაინის კომპონენტები.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას და აღნიშნა, რომ ნებისმიერი სახის ძალადობა, თუნდაც დამალული ფორმით, აბსოლუტურად მიუღებელია. ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტზე, აღნიშნა, რომ ერთი თვის წინ, ვაკის პარკში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, მთელი ქალაქი იყო შოკში და მიმართა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს: „ამ ქალაქში

თქვენ გაქვთ აბსოლუტური უმრავლესობა. თქვენთვის ეს, ერთი შეხედვით, ძალიან კომფორტული სიტუაციაა და ამის გამო შეიძლება იფიქროთ, რომ არ გჭირდებათ ოპოზიცია, არ გჭირდებათ საკრებულოს ზედამხედველობითი ფუნქცია, შეგიძლიათ იფიქროთ, რომ ყველაფერი გააკეთოთ ისე, როგორც თქვენ ფიქრობთ, რომ ესე უნდა გაკეთდეს. მაგრამ ამ კომფორტს მოჰყვება პასუხისმგებლობა და როგორც გაქვთ უმრავლესობის კომფორტი, ასევე, პასუხისმგებლობის ნაწილში გაქვთ უმეტესი წილი". მისი თქმით, აღმოჩნდა, რომ ვაკის პარკში არის საშიში ადგილი, რასაც არავინ იფიქრებდა და ასეთი ადგილები ქალაქში მრავლადაა, მათ შორის, თბილისის ზღვაზე, სადაც შვიდი წლის მანძილზე, ისეთ ადგილებში, სადაც არაფერი გამაფრთხილებელი ნიშანი ან წარწერა ყოფილა, ბანაობის დროს, დაიღუპა ოცდაათი ადამიანი. აქედან გამომდინარე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს აქვთ რეკომენდაცია, რომ მთელი თბილისის მასშტაბით მოხდეს სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი ადგილების აღრიცხვა და მიღებული იქნას შესაბამისი ზომები, რაც არ არის დაკავშირებული დიდ თანხებთან, რადგან საჭიროა მხოლოდ გამაფრთხილებელი აბრის დადგმა და დამცავი ჯებირების მოწყობა.

მარიამ ზაქარიაშვილმა აღნიშნა, რომ 25 ნოემბერი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა და განაცხადა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველაზე მძიმე ფორმაა, რომელიც ქალების სიცოცხლის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, ღირსების, პირადი ცხოვრებისა და სხვა არსებითი უფლებების ხელყოფას განაპირობებს, ართმევს ცხოვრების და განვითარების საბაზისო შესაძლებლობებს. მისი თქმით, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მედია საშუალებები ფემიციდს, ძირითადად ყოველგვარი ეთიკის დარღვევით, უფრო ინდივიდუალურ ამბად წარმოაჩენენ და ნაკლებად განიხილავენ სოციალური პრობლემის ჭრილში. საუბრის ბოლოს, განაცხადა: „ნებისმიერი სახის ძალადობა არის ძალადობა, ეს იქნება ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური თუ უბრალოდ იძულება. სახელმწიფო გვიცავს ძალადობისგან. ცხელი ხაზის ნომერია 116006, ზარი უფასოა, ანონიმურობა დაცული".

ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ 16 დღიან კამპანიას და ფიქრობს, რომ საკრებულოს ჩართულობა ამ პროცესში მნიშვნელოვანი იქნება. ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტზე და განაცხადა, რომ საკრებულოში შემოსულია პროექტის პირვანდელი ვარიანტი. მისი თქმით, კარგი და მისასალმებელია ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი პროექტი 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტს აღემატება 133000000 ლარით და ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 1438775000 ლარს. აღნიშნა, რომ საკრებულოს ყველა დარგობრივმა კომისიამ იმსჯელა ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის შესახებ. წარმოდგენილი რეკომენდაციები, შენიშვნები, შეთავაზებები გადაგზავნილი იქნება თბილისის მერიაში და გვაქვს მოლოდინი, რომ ბიუჯეტის საბოლოო ვერსიაში მაქსიმალურად იქნება ასახული საკრებულოს მოთხოვნები. აქვე აღნიშნა, რომ ძირითადი რეკომენდაციები არის რიგი მიმართულებების გაუმჯობესებაზე და ისაუბრა ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" რამდენიმე მთავარ რეკომენდაციაზე. ესენია: მომავალ წელს ახალი, 18 მეტრიანი, ავტობუსების შეძენა; რაიონული გამგეობების მიმართულების გაძლიერება, რათა მათ ადგილზე, სწრაფად და ეფექტიანად შეძლონ მოსახლეობის სხვადასხვა საჭიროებების დაკმაყოფილება; ჯანდაცვის ყველა იმ პროექტის უწყვეტად განხორციელება, რომელიც წარმატებით მიმდინარეობდა, როგორც წინა წლებში, ასევე 2022 წელს; მნიშვნელოვანია სატრასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და აღდგენა, რისთვისაც თბილისის მერიას გასათვალისწინებელი ექნება დამატებითი თანხების მობილიზება. ირაკლი ხელაძე გამოეხმაურა სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ თითქოს უმრავლესობა მანიპულირებს ციფრებით და განაცხადა, რომ ეს არის არა მანიპულირება, არამედ შედარებითი მოცემულობა, რადგან ყველას შეუძლია დათვალოს, რა იყო 2022 წლის ბიუჯეტის პირვანდელი ვარიანტი და რა არის 2023 წლის ბიუჯეტის პირვანდელი ვარიანტი. შედარება კეთდება 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებულ ვარიანტთან, რომელსაც აღემატება ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი. საუბრის ბოლოს,

განაცხადა, რომ 2023 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი მორგებული იქნება დედაქალაქში დღეს არსებულ საჭიროებებზე და პრობლემებზე და „ქართული ოცნების“ გუნდი მომავალ წელსაც აუცილებლად განაგრძობს წარმატებულ საქმიანობას.

ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას და განაცხადა, რომ მიუღებელია ყველანაირი ძალადობა. ისაუბრა 2023 წლის ბიუჯეტზე, გამოეხმაურა ბოლო კვირის განმავლობაში გაკეთებულ განცხადებებს, რომ ოითქოს სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით წარმოდგენილია კლება და განაცხადა, რომ ამ მიმართულებით ბიუჯეტში კლება არ ხორციელდება, საუბარია იმაზე, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის უფასო და შეღავათიანი ტარიფები, რომლითაც სარგებლობენ გარკვეული სოციალური ჯგუფები, სოციალური მუხლიდან გადატანილი იქნა სპეციალიზირებულ სატრანსპორტო მუხლში. აქვე აღნიშნა, რომ არათუ მცირდება რომელიმე პროგრამის და ქვეპროგრამის დაფინანსება, რომელსაც ახორციელებს თბილისის მერია, არამედ, პირიქით, ბიუჯეტი არის მზარდი და ჯანმრთლეობის დაცვის მიმართულებით არსებული სხვადასხვა პროგრამების დაფინანსება იზრდება ოთხ მილიონ ლარამდე. ირაკლი ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ დღეს სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით ხორციელდება 34 პროგრამა, რომლის მესამედიც არ ხორციელდებოდა წინა ხელისუფლების დროს. მისი თქმით, „ქართულმა ოცნებამ“, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, დაიწყო ყველაზე საჭირბოროტო და მნიშვნელოვანი პროგრამების განხორციელება მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობის დაფინანსება სჭირდება მათ და აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ არსებულ კაპანიას და განაცხადა, რომ ეს ვერ იქნება მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების პრობლემა, ეს არის ის უმძიმესი პრობლემა, რომელსაც მთლიანად საზოგადოებამ უნდა უპასუხოს ერთმნიშვნელოვანი და მკაფიო პოზიციით, რომელსაც ჰქვია „ნულოვანი ტოლერანტობა ქალთა მიმართ ნებისმიერი ძალადობისას,“ რაშიც საზოგადოება, პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად, არის ერთიანი. ისაუბრა „GWP“-ზე, რომელსაც „საქართველოში და თბილისში ერთ-ერთი ყველაზე უპასუხისმგებლო, არაკეთილსინდისიერი, არაკვალიფიციური და ცინიკური კომპანია“ უწოდა. მისი თქმით, ის დასცინის თბილისის მოსახლეობას, რადგან აწვდის სამარცხვინო მომსახურებას, რომლის შედეგად, გასულ წელს, წმინდა მოგების სახით, მიიღო 60000000 ლარი. მისი თქმით, ეს არ არის მხოლოდ ამ კომპანიის პრობლემა, რადგან წყალმომარაგების საკითხი არის მუნიციპალური და როდესაც, გვყავს ასეთი კომპანია, რომელიც სამწუხაროდ, ბუნებრივი მოცემულობიდან გამომდინარე არის მონოპოლისტი, აუცილებელია მუნიციპალიტეტმა გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რომ 21-ე საუკუნეში არ გვიწევდეს საუბარი სრულფასოვან წყალმომარაგებაზე და იმაზე, რომ საკანალიზაციო სისტემა მოუწესრიგებელია. საბა ბუაძემ განაცხადა, რომ თბილისის ყველა რაიონში საკმაოდ მწვავედ დგას ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომლის მოგვარებაც არ ძალუძს მხოლოდ კომპანიას, აუცილებელია ჩვენი საერთო ძალისხმევა და საბიუჯეტო სახსრების მიმართვა ამ პრობლემის მოგვარებისკენ. აქვე აღნიშნა, რომ 2021 წლის ბოლოს, აბსოლუტურად ყველა ტიპის მოსარგებლისთვის გაიზარდა წყალმომარაგების ტარიფი და ასევე, დაგეგმილია ტარიფის ზრდა 2023 წლიდან, თუმცა ეს ვერ მოაგვარებს არსებულ პრობლემას. მისი თქმით, ან ტარიფი უნდა გაიზარდოს კოლოსალურად, ან მუნიციპალიტეტმა თვალი გაუსწოროს იმას, რომ აღნიშნული არის უდიდესი მასშტაბის მუნიციპალური პრობლემა და რაღაც უნდა მოიმოქმედოს იმისთვის, რომ 21-ე საუკუნეში მოქალაქეები წყლის მიწოდების გარეშე არ იყვნენ 48 საათის განმავლობაში.

მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ უერთდება ძალადობის და მით უმეტეს, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას და განაცხადა, რომ ეს არის კაცობრიობის გამოწვევა, თუმცა, ფიქრობს, რომ თუნდაც ამ დარბაზში მსხდომი ადამიანები აღჭურვილი უნდა იყვნენ შესაბამისი პოლიტიკური პასუხისმგებლობით, რომ საზოგადოებას არ აჩვენონ თუნდაც გასულ სხდომაზე განვითარებული მოვლენების მსგავსი მაგალითი, რადგან არ შეიძლება, რომ

გამომსვლელი აიძულო შეწყვიტოს გამოსვლა და საკრებულოს სხდომაზე აიკრძალოს განცხადებების გაკეთება. ისაუბრა საკრებულოს სხდომებზე და აღნიშნა, რომ ფაქტობრივად საკრებულოს არცერთი სხდომა არ ჩატარებულა მიმდინარე ფორმატში და დღევანდელი სხდომაც არის რიგგარეშე. მისი თქმით, თბილისის 2023 წლის ბიუჯეტი საკრებულოში შემოვიდა, პირდაპირი გაგებით, ბოლო წუთს - 15 ნოემბერს 18ᲡᲐ საათზე, ხოლო 18 ნოემბერს, პრაქტიკულად განხილული იყო ყველა კომისიაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტის განხილვის პროცესი წარიმართა ფორსირებულ რეჟიმში. განაცხადა, რომ ბიუჯეტის პროექტში ვერ ამოიკითხა ვერცერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც შეეხებოდა ისეთ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებიც ქალაქში უზრუნველყოფდა ტრანსპორტით ან ფეხით ნორმალურ გადაადგილებას და იმ „ველური ურბანიზაციის“ პროცესში, რომელშიც ვიმყოფებით, მივალთ კიდევ უფრო გაუსაძლის მდგომარეობამდე. მისი თქმით, ადვილი მისახვედრია, თუ რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს ადამიანს იმასთან დაკავშირებით, რა პროცესები წარიმართება ხვალ და ზეგ, როდესაც ამ ურბანიზაციის პირობებში, ხუთი წლის შემდეგ ვახორციელებთ ვარკეთილის მეტროსადგურის რეაბილიტაციას, ორი წელია მიმდინარეობს მეტროსადგური გოცირიძის რეაბილიტაცია და ამავდროულად, წლის განმავლობაში ვახერხებთ მხოლოდ ორი გამზირის რეაბილიტაციას. მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ ამ ყველაფრის ფონზე, გვაქვს თითქოს გაზრდილი ბიუჯეტი, რომელიც მართალია აღემატება 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტს, თუმცა, რამდენიმე მილიონი ლარით ნაკლებია ამავე 2022 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტზე და საერთოდ არ არის გათვალისწინებული ყველაზე მეტად მზრუნველობის საჭიროების ქვეშ მყოფი ადამიანების კვებასთან დაკავშირებული რამდენიმეთეთრიანი ზრდა მაინც, რაც აუცილებელია რომ ყოფილიყო ქვეყანაში არსებული ინფლაციის ფონზე. საუბრის ბოლოს, მიხეილ კაკაურიძემ მიმართა საკრებულოს უმრავლესობას, რომ სარევიზიო კომისიაში უმრავლესობა დაუთმოს ოპოზიციას, რათა ამ უკანასკნელმა რეალურად განახორციელოს ჩართულობა თბილისის მერიის საქმიანობაზე კონტროლის გაწევის თვალსაზრისით, რითიც შესაძლებელი იქნება გამოირიცხოს გამჭირვალობის და კორუფციის მიმართულებით არსებული ვარაუდები და პასუხისმგებლობა გაუნაწილონ ოპოზიციას, რომელიც თბილისის საკრებულოში მნიშვნელოვანწილად წარმოდგენილია უმრავლესი საზოგადოების მიერ.

ნინო წულაძემ ისაუბრა ქალთა მიმართ ძალადობაზე და განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე მოვისმინეთ სიტყვები: „ვუერთდებით, ვწუხვართ, შეშფოთებული ვართ, ვგმობთ ძალადობას“, თუმცა, ამ სიტყვების მიღმა სამწუხაროდ, არ ჩანს აქტიური მოქმედებები და არ ჩანს პოლიტიკა ძალადობის შემთხვევების შესამცირებლად და შესამსუბუქებლად. მისი თქმით, ეს დამოკიდებულება და ზოგადი კამპანიური ფორმატი ვერ აცოცხლებს ავტობუსში ყელგამოჭრილ ქალს და ვერ არის ხსნა იმ ქალისთვის, რომელიც ავტობუსის გაჩერებაზე დაჭრა ქმარმა. მისი თქმით, ოქტომბრის თვეში, დაახლობით ორი კვირის განმავლობაში, იყო ქალზე ძალადობის ოთხზე მეტი შემთხვევა და ამ პერიოდის განმავლობაში, სამწუხაროდ, არც საკრებულოს და არც შესაბამისი სამსახურების მხრიდან არ გაჟღერებულა თუნდაც ის სიტყვები, რაც გაჟღერდა მიმდინარე სხდომაზე. მისი თქმით, როდესაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ 25 ნოემბერს და 16 დღის განმავლობაში, არამედ მუდმივად ვსაუბრობდეთ ამ საკითხებზე და პოლიტიკის შემუშავებაზე, რომ წინ გადავდგათ ნაბიჯი ქალების გაძლიერებისთვის, იმისთვის, რომ ჩავხნათ მსხვერპლის მატერიალური დამოკიდებულება მომალადეზე და ქალები გავაძლიეროთ ეკონომიკურად, რათა აიმაღლონ ხმა და დაგმონ ნებისმიერი ძალადობა. ნინო წულაძემ ისაუბრა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე და განაცხადა, რომ მისი განხილვის პროცესში, ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო ბიუჯეტის შემოსავლების და გასავლების ჩამონათვალის დადგენაზე, თუმცა ისურვებდა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან დაენახა მოქალაქეზე ორიენტირებული ხედვა, რაც ამ პოლიტიკური პარტიისგან წლებია არ დაუნახავს. მისი თქმით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მაშინ დაიგეგმება სწორად, როდესაც ყველა ორიენტირებული ვიქნებით ერთ, საშუალო სტატისტიკურ, თბილისში რეგისტრირებული მოქალაქის ბიუჯეტზე. ნინო წულაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალური ბიუჯეტით დაფინანსებულ

ორგანიზაციებში, მათ შორის, საბავშვო ბაღებში, თეატრებში და ბავშთა გალერიაში დასაქმებულთა ხელფასი საშუალოდ 300-350 ლარია მაშინ, როდესაც სტატისტიკის სამსახურის მიერ დათვლილი მონაცემებით, მოსახლეობის საშუალო თვიური სამომხმარებლო ხარჯი 605.40 ლარია და შესაბამისად, ეს შრომის ანაზღაურება მათ გამოწვევებს ვერ პასუხობს. მართალია იანვრიდან იგეგმება 10%-იანი სახელფასო ზრდა, მაგრამ ეს ვერ უზრუნველყოფს დაბალი კატეგორიის თანამშრომლებსა და მაღალი თანამდებობის პირებს შორის დაბალანსებულ ანაზღაურებას, რაც ძალიან არასამართლიანია. იმ ფონზე, როდესაც, სამწუხაროდ, გვაქვს ისეთი მოცემულობა, რომ სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა თბილისში არის 47481, ხოლო 75000-ზე მეტ სტუდენტს სტატუსი აქვს შეჩერებული, მათ შორის 40000-ზე მეტს - ფინანსური დავალიანების გამო, აუცილებელია მუნიციპალიტეტმა საუბარი დაიწყოს შრომითი ანაზღაურების განსაზღვრაზე და შეცვალოს მიდგომა პარტიული აქტივისთვის ხელოვნურად შექმნილი სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების მიმართ, სადაც წარმოუდგენლად გაზრდილია ბიუროკრატიული ხარჯები. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „ბიუჯეტი კარჩაკეტილ მდგომარეობაში არ იქმნება და შესაბამისად იმ მოქალაქეზე ორიენტირებული ბიუჯეტი ვერასდროს ვერ იქნება, რომელმაც არ იცის, მერის ოთახის კარი რომელ მხარეს იღება და ის არგუმენტი, რომ თურმე მერი ათივე რაიონის წარმომადგენლის საშულებით, ურთიერთობს მოქალაქეებთან არის არასწორი. მოქალაქეებთან, ბიუჯეტის განხილვის პროცესში, ჩვენ გვჭირდება პირდაპირი კომუნიკაცია, რომ ეს ბიუჯეტი, ის ხარჯები და შემოსავლები, რომელიც მათივე კეთილდღეობაზე უნდა იყოს მორგებული მათივე საჭიროებებიდან და მიზნობრიობიდან გამომდინარე გაიხარჯოს და არა კონკრეტულად ერთი ადამიანის, ერთი პარტიის და ამ პარტიასთან დაახლოებული პირების და ბიზნესების კეთილდღეობისთვის“.

გიორგი შარაშიძემ აღნიშნა, რომ უერთდება ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, საქართველო ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლის დღეს შეხვდა მორიგი მსხვერპლით. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია საკრებულოს აქტიურობა და მისასალმებელია, რომ დღეს, ფაქტობრივად სრული შემადგენლობით ხდება ამ ძალიან მნიშვნელოვანი კამპანიის მხარდაჭერა, რაც იმედია გაგრძელდება საკრებულოს აქტიური ქმედებებით, საქმიანობით და პოლიტიკური გადაწყვეტილებებით, რათა საქართველოში დასრულდეს ფემიციდის შემთხვევები. ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტზე და საკრებულოს წევრებს გააცნო ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობასა და მონაწილეობას სახალხო ბიუჯეტირების ფორმით. დღეს, როდესაც საქართველო არის ისტორიულ პროცესში, როდესაც მას აქვს შანსი ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მოპოვებით ჯერ დაუახლოვდეს, ხოლო უახლოეს მომავალში გახდეს ევროპული ოჯახის ნამდვილი, სრულფასოვანი წევრი, დეცენტრალიზაციის და თვითმმართველობის გაძლიერება ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპული მომავლის გზაზე, რადგან სწორედ ძლიერი თვითმმართველობა და დეცენტრალიზაცია არის ევროპული დემოკრატიის მთავარი საფუძველი. ხოლო სახალხო ბიუჯეტირება ანუ მოქალაქეთა აქტიური, პირდაპირი ჩართულობა ბიუჯეტირების პროცესში სწორედ ევროპის ქვეყნებშია აპრობირებული პრაქტიკა და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტში, არამედ სხვა მუნიციპალიტეტებშიც დაინერგოს ანალოგიური პრაქტიკა. სახალხო ბიუჯეტირება, პირველ რიგში აუცილებელია იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები მაქსიმალურად დაუახლოვდეს მოქალაქეების ინტერესებსა და საჭიროებებს, რისთვისაც ბიუჯეტში უნდა გამოიყოს სპეციალური კვოტა ადგილობრივი ბიუჯეტის არანაკლებ 3%-ის ოდენობით. ეს ინიციატივა საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ მოქალაქეების პირდაპირი და აქტიური ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში ბიუჯეტში არსებული სპეციალური ოდენობის თანხის განკარგვაში. გიორგი შარაშიძემ აქვე აღნიშნა, რომ ეს ინიციატივა არ გულისხმობს დამატებითი თანხის გამოყოფას არც ადგილობრივი და არც ცენტრალური ბიუჯეტიდან, ეს იქნება ადგილობრივი ბიუჯეტის განკარგვის ერთგვარი ახალი ფორმა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის

ბიუჯეტში ბევრი კარგი და მისასალმებელი პროექტია გათვალისწინებული, ხშირად მაინც გვერდით რჩება მოქალაქეების რეალური საჭიროებები და აქედან გამომდინარე, სწორედ ის 3%, რომელიც გამოყოფილი იქნება სახალხო ბიუჯეტირებისთვის, დაგვაზღვევს იმ რისკებისგან, რომ მოქალაქეებმა არ იფიქრონ, რომ მათი ინტერესები ბოლომდე არ არის გათვალისწინებული თბილისის ბიუჯეტში.

ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ სჯერა ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებების გულწრფელობა და სჯერა იმის, რომ ამ შემთხვევაში, საკრებულოს თითოეული წევრი არის ერთიანი საკუთარი პოზიციით, თუმცა ვერ გაიზიარებს სიტყვებს, რომ „სახელმწიფო გვიცავს". მან სხდომაზე წარადგინა ერთ-ერთი უფლედამცველის მიერ გამოქვეყნებული საჯარო განცხადება სტამბულის კონვენციის ექსპერტთა საბჭოს შექმნილი ანგარიშის შესახებ, სადაც ისინი მიუთითებენ, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებისას, ხდება ძალადობის მსხვერპლი ქალების ხელახალი ტრავმატიზაცია ექსპერტების არაეთიკური კითხვების დასმის შედეგად. ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ, სამწუხაროდ, პროკურორები და მოსამართლეები ქალებს ექსპერტიზაზე უშვებენ იმის შესაფასებლად, ხომ არ არის ძალადობის მსხვერპლი ტყუილისკენ მიდრეკილი. ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ სამართლებრივი სასამართლოს სტანდარტი აბსოლუტურად არ პასუხობს მოცემულობას და ამასთანავე, საუბარია იმაზე, რომ არ შეიძლება ქალი აიძულო რაიმე ფორმით იურთიერთოს მომალადესთან, რაც მას უწევს სასამართლოს მოთხოვნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, როდესაც ვამბობთ, რომ მუშაობს ცხელი ხაზი, უნდა ითქვას ისიც, რომ მსოფლიოში არსებული სტატისტიკის მიხედვით, ძალადობის მსხვერპლი ქალები, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ წლების შემდეგ ახერხებენ მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე საუბარს. მისი თქმით, ყველა მსხვერპლს რომ შეეძლოს ძალადობის მომენტში ზარის განხორციელება, ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ არის. აქედან გამომდინარე, როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოზე და მის როლზე, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს როლი და ფუნქცია არის პრევენციული ღონისძიებების გატარება, რაც არ გვაქვს. მისი თქმით, როგორც მოსამართლე, ასევე, პოლიციელი და ექსპერტი, ეთიკურობის სტანდარტისა თუ სხვა სტანდარტების ფარგლებში უნდა იყოს შესაბამისად მომზადებული; ყველაზე ძლიერი ქალი არის ეკონომიკურად ძლიერი ქალი, რომელსაც შეუძლია დატოვოს მომალადე და ოჯახი, სადაც მასზე ძალადობენ, მაგრამ, ვიდრე ჩვენ ვცხოვრობთ ღარიბ ქვეყანაში, სადაც ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არის მძიმე, რთულია ამ ვითარების შეცვლა; როდესაც სკოლებში არ გვაქვს სექსუალური განათლება და ბავშვს არ აქვს ელემენტარული ინფორმაცია, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მის ინტიმურ კავშირს, მას არ აქვს გაცნობიერებული რა რისკზე მიდის და ამიტომ ეს რისკები სულ იარსებებს. მისი თქმით, პრევენცია არის სწორედ ეკონომიკაში, სექსუალურ განათლებაში, კომპეტენციის ამაღლებაში და ა.შ. ნინო კვიტაიშვილმა ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" რეკომენდაციებიდან განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია რამდენიმე მათგანი: უსაფრთხოების მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებები და ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში სასკოლო ზონირების შემოთავაზება არის დროული, მინიმუმ საპილოტე პროგრამის რეჟიმში; წარმატებულ სტუდენტთა დაფინანსების და წახალისების ნაწილში მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, რადგან ეს არის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი და ყველაზე ხშირია მათში სტატუსის შეჩერება; მუნიციპალური ბიბლიოთეკების თანამშრომლებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათიანი ტარიფი. ფიქრობს, რომ ეს სამი პუნქტი არის პრიორიტეტული იმ გადასახედიდან, რასაც ჰქვია ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა და ბავშვთა უსაფრთხობა.

გიორგი ონიანმა ისაუბრა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლების ინიციატივებზე, რომლებიც სასურველია გათვალისწინებული იქნას თბილისის 2023 წლის ბიუჯეტში. მისი თქმით, ვაკის პარკში მომხდარმა ტრაგედიამ და მანამდე არსებულმა

დამოკიდებულებამ ცხადყო, რომ ვერ გაამართლა მუნიციპალურმა ლაბორატორიამ, რომელიც არის თბილისის მერიასთან არსებული სტრუქტურა და მოიცავს 158 ადამიანს, რომელთა საშუალო ხელფასი არის 2600 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანების მთავარი ფუნქცია იყო ქალაქისთვის, ქვეყნისთვის და თითოეული ჩვენგანისთვის თავიდან აეცილებინა ტრაგედიები, მუნიციპალური ლაბორატორია, რომელიც ფინანსდება დაახლოებით შვიდი მილიონი ლარით, აბსოლუტურად უუნარო აღმოჩნდა ამ საკითხში. აქედან გამომდინარე, აქვს ინიციატივა, გაუქმდეს ეს სტრუქტურა, მისი დაფინანსება გავიდეს ცალკე ლოტად, სადაც მოწაწილეობას მიიღებენ შესაბამისი ცოდნის და გამოცდილების მქონე კომპანიები და პასუხისმგებლობას აიღებენ ქალაქში არსებული იმ ობიექტების ტექნიკურ შემოწმებაზე, რომლებსაც ამოწმებს მუნიციპალური ლაბორატორია. გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ ასევე მნიშვნელოვანია უფასო სასადილოების საკითხი და მაშინ, როდესაც ბიუჯეტში მართლაც არის პოზიციები, სადაც მეტია დაფინანსება სოციალური მიმართულებით, რაც ძალიან კარგია, გაუგებარია, როგორ შეიძლება ამაზე ემსჯელა ნებისმიერ გუნდს და არ ეთქვა, რომ 1.70 ლარის დატოვება უფასო სასადილოებით მოსარგებლე ადამიანების კვებისთვის, არის ამ ადამიანების გაწირვა შიმშილისთვის. აქედან გამომდინარე, განაცხადა, რომ რჩება განცდა, რომ აღნიშნული, პირველ რიგში, არის მენეჯმენტის პრობლემა და ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ განცდა, რომ ვიღაცებს ეს არ სჭირდებათ და ამიტომ არ აპირებს რაიმეს გაუმჯობესებას. მისი თქმით, უფასო სასადილოების მშრალ კვებაზე გადასვლა ჯდება 3-დან 5 ლარამდე და იქიდან გამომდინარე, რომ ამას თბილისის მერია არ აკეთებს, აქვს ინიციატივა, რომ გაიზარდოს ამ მიმართულებით არსებული დაფინანსება.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას და განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს ნებისმიერ აქტივობას, რომელიც დაგეგმილი იქნება ამ კამპანიის ფარგლებში. ისაუბრა მიმდინარე სხდომაზე და აღნიშნა, რომ ვხედავთ, თუ რა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა ქვეყანაში, ვხედავთ ქვეყანაში არსებულ უმუშევრობის მაღალ დონეს, ვხედავთ ასი ათასობით მოქალაქეს, რომლებიც სწორედ უმუშევრობის გამო მიდიან უცხოეთში და იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფო და მმართველი გუნდი ფიქრობდეს ამ ადამიანების დასაქმებაზე და სამუშაო ადგილების შექმნაზე, ვხედავთ სრულიად საპირისპიროს - სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი ერთ-ერთ საკითხით, ისნის რაიონში, გაბრიელ სალოსის გამზირზე, 82000 კვ.მ. სამრეწველო ზონა, სადაც უნდა იქმნებოდეს ქარხნები, ფაბრიკები, საწარმოო ტერიტორიები და სამუშაო ადგილები, გადაიქცევა სამშენებლო ზონად და ამის უკან დგას საქველმოქმედო ფონდი „ქართუ", ხოლო მის უკან, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილი. ირაკლი ნადირაძის თქმით, ზემოთ ხსენებული ტერიტორია, წლების განმავლობაში, იყო სამრეწველო ზონა, ეს არის 31-ე საავიაციო ქარხნის მიმდებარე ტერიტორია, აქვეა რკინიგზა, რაც კიდევ უფრო მომგებიანს ხდიდა ტერიტორიის სამრეწველო ზონად განვითარებას, მაგრამ როდესაც თავის დროზე, ბიძინა ივანიშვილმა გვითხრა, რომ „აქ სამუშაო ადგილები აღარ შეიქმნება და ყველანი წადით უცხოეთში სამუშაოდო", გასაგებია, რომ თბილისსაც აქვს ეს ტენდენცია აღებული, რომ აღარ გვინდა აღარც სამრეწველო ზონა, აღარც სამუშაო ადგილები, აღარც საწარმოები და ქარხნები და მთავარია ყველგან ჩავაკვეხოთ კორპუსები, რომ ვიღაცებმა იშოვონ მილიონები. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ეს არის „ქართული ოცნების" დამოკიდებულება ჩვენი ქალაქის და მოსახლეობის მიმართ, რომ არ აინტერესებს, თუ რა სჭირდება ქალაქს რეალურად.

რევაზ სოხაძე გამოეხმაურა ირაკლი ნადირაძის გამოსვლას და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ოპონენტები აგრძელებენ საკითხზე ზედაპირულ მსჯელობას, რადგან ირაკლი ნადირაძის მიერ ხსენებულ ტერიტორიაზე წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება არის ერთ-ერთი კარგი გეგმარებითი დავალება, რაც საკრებულოს დაუმტკიცებია. მისი თქმით, საკრებულო წარმატებით ამტკიცებს ისეთ გეგმარებით დავალებებს, რომლებიც ურბანულად ქალაქისთვის მისაღებია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და რა კომპანია დგას მის უკან. განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების განხილვისას, საკრებულო ყოველთვის მსჯელობს მისი მიზანშეწონილობიდან გამომდინარე და უნდა

აღინიშნოს, რომ ეს ტერიტორია, სამრეწველო თვალსაზრისით, გადაგვარებულია, რადგან მის გარშემო უკვე განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსები. აღნიშნა, რომ საკრებულომ, გასულ წელს, ქალაქის უზარმაზარ ტერიტორიას, დიდი ლილოს მიდამოებში, აეროპორტის გზასთან, მიანიჭა სამრეწველო ზონის სტატუსი იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქის სამრეწველოდ განვითარება, ქალაქის შუაგულის ნაცვლად, განხორციელებულიყო იმ მიდამოებში, სადაც არ გვხვდება საცხოვრებელი უბნები, რადგან საკმაოდ დიდ პრობლემებს ქმნის საწარმოები, რომლებიც განთავსებულია კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში და მოსახლეობა ხშირად ჩივის იძის გაძო, რომ ძათი საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს არის სამრეწველო ობიექტები, რაც ლოგიკური და სწორია. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებით, საკრებულო მიიღებს ურბანულად აბსოლუტურად სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას. რევაზ სოხაძემ ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ 5 წლის წინ, დღევანდელი გუნდის ქალაქის ადმინისტრაციაში მოსვლის დროს, თბილისის ბიუჯეტი იყო დაახლოებით 800000000 ლარამდე, ხოლო დღეს შემოსული ბიუჯეტი არის დაახლოებით მილიარდნახევარი, ამასთანავე, არის მისი მკვეთრად გაზრდის მოლოდინიც, რაც იქნება „არნახული ზრდა“ და მუნიციპალიტეტს მისცემს უამრავი ახალი პროექტის და პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. აქვე აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში, ქალაქის თანაბარი განვითარებისთვის, გადაიდგა მკვეთრი ნაბიჯები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მათ შორის, ქალაქში არსებული საცობების პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით, რადგან ამ პრობლემას მხოლოდ სატრანსპორტო მიმართულებით განხორციელებული რეფორმები ვერ მოაგვარებს და სწორად ქალაქის ყველა უბნის თანაბარი განვითარება არის ის, რამაც საბოლოოდ უნდა გადაჭრას ეს პრობლემა. ისაუბრა უკანონო მშენებლობებზე და აღნიშნა, რომ თბილისში გაჩნდა რამდენიმე დასახლება, სადაც, ადამიანები აქტიურად ახორციელებენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, რამაც უკვე ისეთი სახე მიიღო, რომ უჩნდება ეჭვი, რომ ამის უკან დგანან „გაჭირვებული ადამიანების მანტიას ამოფარებული ჯგუფები“, რომლებიც სარგებლობენ სიტუაციით და შედეგად მიმდინარეობს ქალაქის ქაოტური განაშენიანება. რევაზ სოხაძის თქმით, ძალიან გამკაცრდა კანონმდებლობა უკანონო მშენებლობების კუთხით, თუმცა, როგორც ჩანს, ეს არ არის საკმარისი ამ პროცესის შესაჩერებლად და ამიტომ, სახელისუფლებო გუნდი აპირებს მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას ამ მიმართულებით და განაცხადა: „მინდა იმედი ვიქონიო, რომ, როდესაც მუნიციპალიტეტი ასეთ ნაბიჯებს გადადგამს, ოპოზიციის მხრიდან არ მოხდება ამ საკითხების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება, რადგან ეს იქნება არასახელმწიფოებრივი მიდგომა“.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ ფემიციდის პრობლემა და ამ კუთხით არსებული ყოველდღიური ტრაგედიები რეალური კატასტროფაა, რასაც ვერ უშველის 16 დღიანი კამპანია, რადგან სჭირდება 365 დღიანი მუშაობა. ქვეყნებში, სადაც აღინიშნება ეს დღეები, არსებობს შემუშავებული პოლიტიკა და ამ პერიოდში აფასებენ, რა გაკეთდა და რა უნდა გაუმჯობესდეს. მისი თქმით, სანამ ქვეყანაში, ფედერალურ დონეზე, არ იქნება ჩამოყალიბებული პოლიტიკა, ალბათ ყოველ 25 ნოემბერს გავაკეთებთ ერთი და იგივეს და ამ საკითხს „ბრასლეტები და ფოტოსურათები, სამწუხაროდ, არ შველის“. ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება ახორციელებს სოციალურ ბიუჯეტს, ყოველ წელს, აუცილებლად გათვალისიწინებული უნდა იყოს ე.წ. ინდექსაცია, რადგან საქართველოში, 9 თვეში, მხოლოდ პროდუქტები გაძვირდა თითქმის 22%-ით. აქედან გამომდინარე, უფასო სასადილოებში დაფინანსების 1.70 ლარის ოდენობით დატოვება, რომელშიც შედის არა მხოლოდ პროდუქტები, არამედ მომსახურე პერსონალის ხელფასები, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის მოგება და სხვა, გამოიწვევს იმას, რომ მივიღებთ ან შემცირებულ ულუფებს, ან უხარისხო პროდუქტს. ანალოგიური მდგომარეობაა მრავალშვილიანი ოჯახების 18 წლამდე ბავშვების 50 ლარიანი დახმარების კუთხითაც, რადგან გასულ წელთან შედარებით, აბსოლუტურად სხვა მდგომარეობაა და სხვა მსყიდველობითუნარიანობა გააჩნია 50 ლარს. ვახტანგ სურგულაძის თქმით, ეს ეხება სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით არსებულ ყველა პროგრამასაც. ძალიან

სასიხარულოა, რომ აუტიზმის პროგრამაში გაიზარდა ბენეფიციარების რაოდენობა და იმედი გამოთქვა, რომ ახალი ბენეფიციარებისთვის მოცდის პერიოდი არ იქნება 2 თვეზე მეტი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს პროგრამა ხორციელდება, ერთეულის ფასი რჩება 20 ლარი და მაშინ, როდესაც თბილისში საბაზრო ფასი 40-დან 100 ლარამდეა, როგორ უნდა ვისაუბროთ მოტივაციაზე და ხარისხის გაუმჯობესებაზე. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ძალიან კარგია ის, რომ ხორციელდება სოციალური პროგრამები, მაგრამ თუ ყოველწლიურად არ გავითვალისწინეთ ინფლაცია, ლარის მსყიდველობითუნარიანობა და საარსებო მინიმუმი, ეს პროგრამები არათუ სრულყოფილი იქნება, შეიძლება ცუდიც კი გახდეს.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ სასიხარულოა საკრებულოს წევრების მხრიდან ერთსულოვანი პოზიციის გამოხატვა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ჩვენ, როგორც საზოგადოება, პასუხისმგებელი ვართ იმაზე, რომ ამ ქვეყანაში ყველა ადამიანი იყოს თანასწორი და ვერ შევდგებით საზოგადოებად, თუ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გადადგმულმა ნაბიჯებმა შედეგი ვერ გამოიღო. მისი თქმით, იმაზე საუბარი, რომ ამ მიმართულებით არ არსებობს პოლიტიკა, არის სიცრუე, რადგან, ბოლო წლებში, საქართველო შეუერთდა არაერთ კონვენციას ქალთა ძალადობის წინააღმდეგ და ქალთა ემანსიპაციასთან მიმართებაში. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ მიმართულებით საპოლიციო კონტროლი გაათმაგებულია და პრევენციული ღონისძიებები არის კიდევ უფრო გაზრდილი, ვიდრე ეს იყო წინა წლებში. ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტზე, გამოეხმაურა ანა გოგოლაძის სიტყვებს, რომ ბიუჯეტი „მანიპულაციურია“ და განაცხადა, რომ ამა თუ იმ წლის ბიუჯეტის პირველადი ვერსია უნდა შედარდეს წინა წლის ბიუჯეტის პირველად ვერსიას, რადგან გარდაუვალია ის, რომ ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს და შეუძლებელია ერთმანეთს შეადარო დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტი, რადგან, დამტკიცებული ბიუჯეტიდან დაზუსტებულ ბიუჯეტში, როგორც მინიმუმ, გადადის ნამთი. შესაბამისად, ბიუჯეტები უნდა შედარდეს კორექტურელად და ყველა ვხედავთ, რომ 2023 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტი, 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 133000000 ლარით და „მანიპულაცია“ არის სწორედ იმის თქმა, რომ ბიუჯეტი იკლებს. ოთარ გრიგოლია ასევე, გამოეხმაურა „GWP“-სთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას, აღნიშნა, რომ იზიარებს ამ კომპანიასთან დაკავშირებით გამოთქმულ ბევრ კრიტიკას და იქიდან გამომდინარე, რომ წლიდან წლამდე ძალიან მცირეა პროგრესი ქალაქის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემის გაუმჯობესების კუთხით, აუცილებელია გაიზარდოს ეს ტემპები. მისი თქმით, ამ კომპანიასთან დაკავშირებული საკითხი მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო სერვისების პრივატიზაცია აპრიორი არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად მივიღებთ უკეთეს სერვისს ან გაუმჯობესებულ რეალობას და აქედან გამომდინარე, ამ ტიპის სერვისების გასხვისების დროს, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ არსებობს ისეთი პრობლემა, როგორც ამ შემთხვევაში არის „GWP“, რომელიც სამართლიანად უნდა იღებდეს იმ შენიშვნებს, რომლებიც არის საკრებულოს და ქალაქის ხელისუფლების მხრიდან. ოთარ გრიგოლია ასევე, გამოეხმაურა ირაკლი ნადირაძის განცხადებას, რომელიც ეხებოდა სამრეწველო ზონისთვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებას და აღნიშნა, რომ გენერალური გეგმის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია არის სწორედ ის, რომ საცხოვრებელ ტერიტორიებზე არ იყოს სამრეწველო ზონები, რადგან მრეწველობის დროს გამოწვეული დანაგვიანება, ბუნებრივია, შეაწუხებს მოსახლეობას და ასეთი ტიპის ობიექტები გადატანილი უნდა იქნას ქალაქგარეთ ან პერიფერიებში.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ უერთდება და მხარს უჭერს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას და განაცხადა: „მე არ ვთვლი, რომ ქალი და კაცი არის თანასწორი, ქალი ყოველთვის მეტია, ვიდრე თანასწორი“. ისაუბრა ტრანსპორტის სფეროს წარმომადგენლების დამოკიდებულებაზე ქალების მიმართ და აღნიშნა, რომ თბილისში, ავტობუსის მძღოლად მუშაობს 28 ქალი და ნებისმიერ მუნიციპალურ სერვისში, რომელსაც აქვს შპს-ს ფორმა, ნელ-ნელა იზრდება ქალების დასაქმება, რაც ძალიან მისასალმებელია.

ასევე, ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტზე და „მანიპულაცია“ უწოდა განცხადებას, რომ თითქოს ბიუჯეტის მოცულობა იკლებს, რადგან ერთი ქვეპროგრამიდან მეორე, მიზნობრივ ქვეპროგრამაში თანხის გადატანა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს დაფინანსების შემცირებას.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას და განაცხადა, რომ ეს დანაშაული მიეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე სულმდაბალი დანაშაულების კატეგორიას და მისი ჩამდენი კაცი ყველაზე უღირსი ადამიანია. სახელმწიფო ამ მიმაროულებით ბევრს აკეთებს, თუმცა კიდევ ბევრია გასაკეთებელი, განსაკუთრებით პრევენციული მექანიზმების კუთხით. მისი თქმით, ამ დანაშაულთან ბრძოლის ორი გამოსავალი არსებობს: განათლება და პრევენცია და თუ ამ მიმართულებით გვექნება წარმატებები, რა თქმა უნდა, ნაკლები იქნება ძალადობის კუთხით არსებული საზარელი ფაქტები. ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ როდესაც შემოდის ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი, ის უნდა შედარდეს წინა წლის ბიუჯეტის პირველად ან დამტკიცებულ ვარიანტს. ამ შემთხვევაში, ორივესთან მიმართებაში გვაქვს მნიშვნელოვანი მატება, რაც ფაქტია და არ არის სადავო. აქვე უნდა ითქვას, რომ 2023 წლის პირველადი ბიუჯეტი ვერანაირად ვერ იქნებოდა 2022 წლის საბოლოო, დაზუსტებულ ბიუჯეტზე უფრო მეტი და შესაბამისად, ამაზე არც უნდა ვისაუბროთ. რაც შეეხება ბიუჯეტით დაფინანსებულ პროგრამებს, განაცხადა, რომ არცერთ პროგრამაში არ არის კლება, პირიქით, სოციალური მიმართულებით, გარკვეულ პროგრამებში, არის მატება და სადაც შესაძლებელი იყო, ყველგან გათვალისწინებულია ინდექსაციაც, ინფლაციაც და ზოგადად, რეგიონში არსებული მდგომარეობაც. ასევე, გამოეხმაურა „GWP“-სთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ხმირ შემთხვევაში, ზღვარს სცდება ამ კომპანიის გამო ქალაქში არსებული მდგომარეობა და ამიტომ მნიშვნელოვანია, საკრებულომ დააფიქსიროს პოზიცია, რომ ძალიან ბევრ საკითხთან მიმართებაში საქმე გვაქვს არაკეთილსინდისიერ ქმედებებთან, რადგან არ შეიძლება ერთი და იგივე ობიექტს წლის განმავლობაში აკეთებდე სამჯერ, მერე ამას ითვლიდე ტარიფში და ითხოვდე მის მომატებას იმ მიზეზით, რომ თითქოს კომპანიის ხარჯები ვერ აბალანსებს შემოსავლებს. ლევან ჟორჟოლიანმა ასევე, ისაუბრა ქალაქის ურბანულ განვითარებაზე, აღნიშნა, რომ ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ქალაქის შუაგულში სამრეწველო ობიექტების მშენებლობა მიზანშეწონილი არ არის და აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ ტერიტორიას სამრეწველო ზონა ედება არა იმიტომ, რომ იქ მოხდეს ფაბრიკა-ქარხნების განაშენიანება, არამედ იმიტომ, რომ არ მოხდეს მათი ქაოტური განაშენიანება და მისი განვითარება არ განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ნინო წულაძის განცხადებას, რომელიც ეხებოდა მუნიციპალურ სექტორში დასაქმებული დაბალანაზღაურებადი თანამშრომლებისთვის ხელფასების გაზრდას და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ განათლების სექტორში, ბაღებში, „ეკო სერვის ჯგუფში“, „თბილსერვის ჯგუფში“, ხელოვნების სკოლებში და სხვა მუნიციპალურ ორგანიზაციებში მაქსიმალურად გაიზარდოს ხელფასები, საბიუჯეტო რესურსის ფარგლებში.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას და განაცხადა, რომ გმობს არა მარტო ქალთა მიმართ, არამედ ნებისმიერი სახის ძალადობას, მათ შორის, ფიზიკურს, სიტყვიერს, დისკრიმინაციულს და ა.შ. განაცხადა, რომ საკრებულოს წინა სხდომაზე უმრავლესობის მხრიდან ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული ქმედებები იყო სიტყვიერი და ფსიქოლოგიური ძალადობა. მათ შორის, ძალადობა იყო ისიც, რომ ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელს არ მიეცა განცხადების გაკეთების შესაძლებლობა და მიმართა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს: „რადგან უმრავლესობაში ხართ, არ ნიშნავს იმას, რომ იხელმძღვანელოთ ხელის გადაგრეხვის პრინციპით და როგორი სახითაც არ უნდა იყოს, იძალადოთ კოლეგებზე“. ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტზე და განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ უმრავლესობა იზიარებს მის ინიციატივებს, რომლებიც ხან კახა კალაძის პროგრამაში ხვდება, ხან ჯანდაცვა წარადგენს

ხოლმე თავისი ინიციატივით, მათ შორის, 9 აპრილს დაზარალებულებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით სარგებლობას და პენსიორებისთვის 500 ლარიანი ვაუჩერის დარიგებას. ამ ეტაპზე აქვს ინიციატივა, რომ კომუნალური გადასახადებისთვის გამოყოფილი თანხა, რომელიც განკუთვნილია თბილისელების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფისთვის, იქიდან გამომდინარე, რომ გამვირდა ელექტროენერგიის და წყლის გადასახადი, 70000 სარეიტინგო ქულამდე სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის გაიზარდოს 160 ლარამდე, ხოლო 70000-დან 200000 სარეიტინგო ქულამდე სოციალურად დაუცველი ოჯახების 20 ლარიახი დახმარება გახდეს 40 ლარი. მისი თქმით, მართალია აღნიშნული გამოიწვევს დამატებით ფინანსურ ხარჯს, მაგრამ ეს ადამიანები წარმოადგენენ ყველაზე დაუცველ ფენას და ამიტომ აუცილებელია, სუბსიდირების სახით, დავეხმაროთ მათ. საუბრის ბოლოს, ლილე ლიპარტელიანმა იმედი გამოთქვა, რომ საკრებულოს უმრავლესობის მხრიდან შეიცვლება „ხელის გადაგრეხვის პრინციპით" მიდგომა და საკრებულოს წევრების საქმიანობა იქნება არა მხოლოდ ის, რომ დააკმაყოფილონ კახა კალაძის, მისი სამეგობროს და ბიძინა ივანიშვილის დეველოპერული ინტერესები, არამედ იზრუნონ თბილისელების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე.

ვლადიმერ ბოჟაძემ მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს: „ნაციონალური მოძრაობა რომ ძალადობაზე ლაპარაკობთ და თან რომ გმობთ თურმე ძალადობას, ალბათ „დღის ნიუსი" გახდება". ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტზე, აღნიშნა, რომ დღეს დილიდან მთელმა ქალაქმა გაიგო, რომ საკრებულოში დაიწყო ბიუჯეტის განხილვა და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „შეგიძლიათ ერთი სიმართლე გააგებინოთ თბილისელებს - ბოლოს და ბოლოს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი 2022 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია თუ შემცირებული? ერთი პროექტი შეგიძლიათ დაგვისახელოთ, რომელიც, თქვენი აზრით, სასარგებლოა დედაქალაქისთვის და რომელსაც ხმას მისცემდით, პოლიტიკური კონიუქტურა რომ არ გიშლიდეთ ხელს?" მისი თქმით, საუბარია მილიარდნახევრიან ბიუჯეტზე, რომელმაც, 2023 წელს, უნდა შეცვალოს ძალიან ბევრი თბილისელის ცხოვრება და საინტერესოა, რომელი პროგრამაა ოპოზიციისთვის მისაღები და რომელს მისცემდა ხმას? რომელი არის მიუღებელი და რა რჩევები ექნებოდა სატრანსპორტო თუ სოციალურ პოლიტიკასთან მიმართებაში? მისი თქმით, მაშინ, როდესაც, საქართველო პირველ ადგილზეა ბიუჯეტის გამჭირვალობის ინდექსით, ოპოზიცია ამბობს, რომ თბილისს აქვს გაუმჭირვალე ბიუჯეტი და საინტერესოა, ოპოზიციის წარმომადგენლებმა დაინახეს თუ არა რაიმე სასიკეთო ქალაქში 2022 წელს და ხედავენ თუ არა რაიმე სასიკეთოს 2023 წელს.

ანა კაკაბაძემ ისაუბრა ქალთა მიმართ ძალადობაზე და განაცხადა, რომ „ქალთა მიმართ ძალადობა არის მსოფლიო გამოწვევა და ბუნებრივია, ჩვენც, გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში, ვუერთდებით კამპანიას მის წინააღმდეგ." გამოეხმაურა სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ სამაჯურები ვერ დააბრუნებს ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს და განაცხადა, რომ მათ ვერაფერი დააბრუნებს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია სტიმული მივცეთ ადამიანებს, რომ ძალადობის შემთხვევაში დარეკონ ცხელ ხაზზე, სადაც ანონიმურობა დაცულია და ძალადობის მსხვერპლ ქალებს გვერდში დავუდგეთ, დავანახოთ ჩვენი სიძლიერე და მოვუწოდოთ, რომ არ იყვნენ ჩაგრულები და ნებისმიერ დროს მის გვერდით ვიქნებით ჩვენც და ნებისმიერი უწყება. ხოლო, თუ ჩვენ გავაგრძელებთ იმის პროპაგანდას, რომ სახელმწიფო არ გვიცავს და სახელმწიფოს არ აქვს ბერკეტები, კიდევ უფრო გავამძაფრებთ და გავაღრმავებთ დღეს, როგორც საქართველოში, ასევე, მთელ მსოფლიოში, ამ მიმართულებით არსებულ რეალურ პრობლემას და აქედან გამომდინარე, თავი უნდა შევიკავოთ მსგავსი განცხადებების გაკეთებისგან.

კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა, რომ უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას და განაცხადა, რომ ყოვლად მიუღებელია მსგავსი ფაქტები. ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე და აღნიშნა, რომ განათლების და კულტურის მიმართულებით

წარმოდგენილია დაფინანსების ზრდა და იმედი გამოთქვა, რომ წლის განმავლობაში იქნება კიდევ უფრო მეტი მატება. აქვე აღნიშნა, რომ 2023 წელს დასრულდება შვიდი ახალი ბაღის მშენებლობა და დაიწყება ორის მშენებლობა; რეაბილიტაცია ჩაუტარდება ორ ბიბლიოთეკას; დაწყებულია, ჩუბინაშვილის ქუჩაზე მდებარე ილია ჭავჭავაძის სახელობის სახლ-მუზეუმის სრული რეაბილიტაცია; ასევე, გვაქვს ინიციატივა, რომ თბილისის საკრებულოს შენობის ნული სართული დავუთმოთ თოჯინების მუზეუმს, რომელიც 2012 წლიდან ელოდება ფართს; ბავშვთა სახელოვნებო სკოლების მიმართულებით დაწყებულია ორი პროექტი; მიმდინარეობს მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უმაღლესი განათლების დაფინანსების პროგრამა. მისი თქმით, დღევანდელი ხელისუფლების მიზანია განათლების სფეროში, შესაძლებლობის ფარგლებში, მოხდეს ხელფასების ზრდა და ამ ტაპზე, ამ მიმართულებით წარმოდგენილია ის მაქსიმუმი, რისი გაკეთების რესურსიც გვაქვს. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას აქვს ექვსი რეკომენდაცია და იმედი გამოთქვა, რომ ყველა მათგანი გათვალისწინებული იქნება თბილისის 2023 წლის ბიუჯეტის გადამუშავებულ ვერსიაში.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას, მადლობა გადაუხადა გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომელიც ამ დღეების განმავლობაში აქტიურად არის ჩართული ამ პროცესებში და წამყვანი ფუნქციით, არის კამპანიის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მისი თქმით, საკრებულოს წევრებს, გარდა იმისა, რომ არიან საჯარო მოხელეები, ხშირად უწევთ ტელეეკრანებიდან საუბარი, ბევრ ადამიანთან ურთიერთობა და შესაბამისად, აქვთ მეტი პასუხისმგებლობა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ესაუბრონ მეტ ადამიანს და, რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ საზოგადოებაში მოხდეს მნიშვნელოვანი გარდატეხა და იმ პრობლემის მოგვარებაში, რომელსაც ებრძვის მთელი მსოფლიო და არც საქართველოა გამორჩეული, აუცილებლად შეიტანონ თავისი წვლილი. გიორგი ტყემალაძემ ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე, გამოეხმაურა ბიუჯეტის განხილვის ვადებთან, გარკვეული პროექტების დაფინანსების შემცირებასთან და ახალი პროექტების არარსებობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და აღნიშნა, რომ 10 დღე ნამდვილად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სრულფასოვნად გააანალიზო, დაგეგმო და თუნდაც გაწიო რეკომენდაციები ბიუჯეტის საბოლოო პროექტან დაკავშირებით და ამიტომ, მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, არ დაირღვეს პროცედურები და გარკვეული მოსაზრებები თბილისის მერიას გაეგზავნოს დადგენილ ვადაში და მეორე მხრივ, დღეიდან 10 დეკემბრამდე და მას შემდეგაც აქტიურად გავაგრძელოთ რეკომენდაციებზე მუშაობა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც ფინანსთა სამინისტროსთან კონსულტაციების შემდგომ გვეცოდინება დაზუსტებული ტრანსფერის ოდენობა, ბიუჯეტის განახლებულ პროექტში იქნება გარკვეული სიახლეები ახალ პროექტებთან დაკავშირებით. აქვე აღნიშნა, რომ წლის განმავლობაში, არაერთხელ ხდება ბიუჯეტის ზრდა და აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ მომდევნო წლის ბიუჯეტს ვადარებთ წინა წლის დამტკიცებულ და არა დაზუსტებულ ბიუჯეტს, მით უმეტეს ამ შემთხვევაში, როდესაც საუბარია ჯერ კიდევ არა საბოლოო ნიშნულზე მიღწეულ ბიუჯეტზე, რომელიც წარმოდგენილი იქნება 10 დეკემბერს. აქედან გამომდინარე, განაცხადა, რომ ამით არავინ მანიპულირებს და დღეს წარმოდგენილი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი დაახლოებით 130000000 ლარით გაზრდილია 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, ხოლო ამას თუ დავამატებთ იმ სავარაუდო ზრდას, რომელიც წარმოდგენილი იქნება უკვე 10 დეკემბერს, რა თქმა უნდა, იქნება კიდევ უფრო მეტი მატება და შესაძლებელია 2022 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტზე მეტიც კი იყოს, რაც ნიშნავს იმას, რომ წლის განმავლობაში ზრდა აისახება კიდევ უფრო დიდ თანხებში და მომავალი წლის ბიუჯეტი, საბოლოო ჯამში, მინიმუმ 200-300 მილიონით გადააჭარბებს თბილისის 2022 წლის არათუ დამტკიცებულ, არამედ დაზუსტებულ ბიუჯეტს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნათია ვერძაძე

3. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: თეიმურაზ ბოლოთაშვილი

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თეიმურაზ ბოლოთაშვილი

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ (ს/ნ.: 402176943) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა
თანამომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

7. „სსიპ ქალაქ თბილისის N32 საჯარო სკოლისთვის ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახაბერ ლაბუჩიძე

8. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 7, კორპუსი 12-ში (ს/კ.: N01.19.20.024.030) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა/ები/ავტოსადგომი/ები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N110-ში მდებარე 63.73 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.004.01.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლების IIა მიკრორაიონის კორპუსი N23-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.17.02.001.661 და N01.17.02.001.662) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N39-ში მდებარე 74.47 კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.022.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში მდებარე 20.57 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.03.17.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.03.17.003 და N81.03.17.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, დავით გურამიშვილის ქუჩა N11-ში მდებარე 83.82 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.128.006.01.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, რაფიელ დვალის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.014.011.01.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში 3-ში, მე-3 მიკრორაიონის კორპუსი N304ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.027.004.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, თეიმურაზ ბოჭორიშვილის I გასასვლელი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.149.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, აკაკი წერეთლის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.04.313.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N31-ის მიმდებარედ არსებული 266 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.013.009) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სილქ როუდ ბიზნეს ცენტრისთვის“ (ს/ნ.: 203825851) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქ.თბილისში, შარდენის ქუჩაზე არსებული 606 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.03.061.038) ტერიტორიიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ღლონტისთვის (პ/ნ.: 01030004925) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.15.04.020.030) ტერიტორიიდან 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ.თბილისში, ფხოვის ქ.N6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.15.04.020.038) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი პი ემ ჰოტელს მენეჯმენტისთვის“ (ს/ნ.: 400307958) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 146634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.16.104.003) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს“ შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

28. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

29. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ერედვის ქუჩა, N87, N81, N89, N85, N83, N91; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფატმანის ქუჩა N96, N100, N98, N84, N94, N92-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.038.178, N01.72.14.038.116, N01.72.14.038.657, N01.72.14.038.520, N01.72.14.038.117, N01.72.14.038.118, N01.72.14.038.972, N01.72.14.038.522, N01.72.14.038.368, N01.72.14.038.521, N01.72.14.056.128, N01.72.14.056.129, N01.72.14.038.112, N01.72.14.038.915) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

30. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.19.916; N81.02.19.639; N81.02.19.917; N81.02.00.333; N81.02.95.377; N81.02.97.939; N81.02.19.638) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

31. „ქ.თბილისში, ასათიანის ქ.N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.15.014.012), მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთახმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 5 ნოემბრის N3105 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ.: N01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

33. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი N26-ის მიმდებარედ, პეტრე იბერის ქუჩა N30; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, დ.თავდადებულის კორპ. N26-ის მიმდებარედ, ნაკვ. N112-2, ნაკვ. N112-1; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.10.06.001.229; N01.10.06.001.002; N01.10.06.001.125; N01.10.06.001.126; N01.10.06.001.278) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N415 განკარგულებით

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.03.652) ინდივიდუალური სააგარაკე უბნისა და ბავშვთა დასასვენებელი ბანაკის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 ივნისის N1392 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N42-ში; ქალაქი თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N118; N118ა; N116ბ; N116; N124ა; N116ა; N 124-ში, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.11.029.043; N01.17.11.029.035; N01.17.11.029.028; N01.17.11.029.037; N01.17.11.029.030; N01.17.11.029.013; N01.17.11.029.038; N01.17.11.029.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N79-ში; ქალაქ თბილისში გახოკიძის ქუჩა N79-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.19.19.003.235; N01.19.19.003.236; N01.19.19.003.237; N01.19.19.003.238; N01.19.19.003.363) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „ქალაქ თბილისში, ბაღდადის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.026.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.007.041) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისზე, თელეების მიწაზე; ქალაქ თბილისში, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.18.919; N72.16.18.959) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N426 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.338) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის N158 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

41. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.N12-14-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N269 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

42. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ.: 204460957) და შპს „აურადეველოპმენტის" (ს/ნ.: 405563117) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ - მდებარე მიწის ნაკვეთთან (ს/კ.: N01.14.16.015.257) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე".

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ თბილისის 2023 წლის ბიუჯეტი 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე 133000000 ლარით მეტია. არის მოლოდინი, რომ მომავალ კვირას, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, უკვე ჩამოყალიბებული იქნება, თუ რა რაოდენობის ტრანსფერი იქნება გათვალისწინებული 2023 წლის ბიუჯეტში. გაიოზ თალაკვაძემ ისაუბრა საკრებულოს რეკომენდაციებზე და შენიშვნებზე, აღნიშნა, რომ სამსახური ეცდება მაქსიმალურად გაითვალისწინოს საკრებულოს კომისიების და ფრაქციების მოსაზრებები და ისე წარმოადგინოს ბიუჯეტის განახლებული პროექტი.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, 15 ნოემბრიდან, 5 დღის განმავლობაში, უნდა ჩატარებულიყო თბილისის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა და დაინტერესდა, ბიუჯეტის საჯარო განხილვა შემოიფარგლება მხოლოდ პროექტის საიტზე განთავსებით თუ საკრებულოს მაჟორიტარი წევრები, მოქალაქეებთან აქტიური კომუნიკაციის გზით, იყვნენ ჩართულები ბიუჯეტის პროექტის განხილვაში.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ არა მხოლოდ 15-დან 20 ნოემბრამდე, არამედ მთელი წლის განმავლობაში, საკრებულოს როგორც მაჟორიტარი, ასევე, პროპორციული სიით წარმოდგენილი წევრები, სისტემატურად, მაჟორიტარი წევრების ბიუროების საშუალებით, მოსახლეობასთან აქტიურად განიხილავს თბილისის როგორც მიმდინარე წლის ბიუჯეტს, ასევე იმას, თუ რა და როგორ უნდა დაიგეგმოს მომავალი წლის ბიუჯეტში, რაც მისი აზრით, უფრო მოიაზრებს ბიუჯეტის საჯარო განხილვას, ვიდრე ის, რომ თუნდაც 17 ნოემბერს მოეწყოს ბიუჯეტის პროექტის განხილვა 15-20 ადამიანთან ერთად. აქვე აღნიშნა, რომ 10 დეკემბრამდე, თბილისის მერიასთან გაგრძელდება აქტიური თანამშრომლობა და იმედი გამოთქვა, რომ საკრებულოს რეკომენდაციები შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ბიუჯეტის პროექტში.

ირაკლი ხელაძემ განმარტა, რომ გამგეობებში არის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები, რომლის წევრებიც აქტიურად არიან ჩართულები წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებში და ყველა გამგეობაში ტარდება შეხვედრები, მათ შორის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, რათა გათვალისწინებული იყოს მათი აზრი.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ ცდილობდა მოეპოვებინა ინფორმაცია სამოქალაქო საბჭოების საქმიანობაზე და მოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ უმეტეს გამგეობებში ეს საბჭოები არ არიან აქტიურები და მათი შეხვედრის ოქმებიც კი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რამდენად ადეკვატურად მონაწილეობენ ეს საბჭოები ბიუჯეტის განხილვის პროცესში და ზოგადად, საკრებულოს წევრებს შეუძლიათ გაწიონ მეტი ძალისხმევა, რომ საბიუჯეტო პროცესი იყოს უფრო დინამიური. საბა ბუაძემ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ იგეგმება სხვადასხვა ქვეპროგრამებში კონკრეტული მუხლები, აღნიშნა, რომ რაიონებში, კეთილმოწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში გვაქვს ისეთი მოცემულობა, რომ ქუჩებს შორის კიბის მოწყობა 1 კვ.მ.-ს ფასი, ერთსა და იმავე მუნიციპალიტეტში, ერთი და იგივე სისტემის სხვადასხვა დაწესებულებებს განსხვავებული ღირებულებით აქვთ დაანგარიშებული და ითხოვა, რომ აღნიშნულს მიექცეს ყურადღება, რათა არ მივიღოთ აბსურდული მოცემულობა, რომ ერთი და იგივე სამუშაო სხვადასხვა გამგეობაში სრულდებოდეს განსხვავებული ფასით. ასევე, აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ასახულია გაზიფიკაციის და საკანალიზაციო სისტემის მოწყობის მუხლები, განაცხადა, რომ აღნიშნულის ვალდებულება აქვს სერვისის მიმწოდებელ კომპანიებს და დაინტერესდა, რატომ არის აღნიშნული გათვლისწინებული ბიუჯეტში. ასევე, დაინტერესდა, თბილისის მერიას, საბიუჯეტო პროცესში, ჰქონდა თუ არა კონსულტაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სათემო ორგანიზაციებთან, რათა ბიუჯეტში ასახული ყოფილიყო მათი საჭიროებები და ზოგადად, საინტერესოა, დედაქალაქის ბიუჯეტის რა ნაწილი ხმარდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს სხვადასხვა მიმართულებით.

ლევან ჯაფარიძემ და ზურაბ ჩიკვილაძემ განმარტეს, რომ წითელი ხაზების შიგნით გაზიფიკაცია არ არის სერვისის მიმწოდებელი კომპანიის ვალდებულება, ბიუჯეტში ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხა გათვალისწინებულია წითელი ხაზების მიღმა გაზიფიკაციისთვის და წყალარინების სისტემის მოწყობისთვის, თუმცა გაზიფიკაციის ხარჯები განკუთვნილია სოციალურად დაუცველი მოქალქეებისთვის, ხოლო წყალარინების სისტემის მოწყობის ხარჯები - სოციალურად დაუცველი მოქალაქეებიისა და ამხანაგობებისთვის.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ბიუჯეტის თითოეული პროგრამა ითვალისწინებს, რომ გათვლილი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და შესაბამისად, ამ ეტაპზე რთულია იმის თქმა, თუ რა თანხა იხარჯება საერთო ჯამში მათ საჭიროებებზე, რადგან ამისთვის საჭიროა თითოეული პროგრამიდან და ქვეპროგრამიდან ამ მიმართულებით გაწეული ხარჯის დაჯამება.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ ცენტრალურ ბიუჯეტში არის პრაქტიკა, რომ ფინანსთა სამინისტრო ანგარიშობს, თუ რამდენი იხარჯება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების

საჭიროებებისთვის და გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, სამომავლოდ თბილისის ბიუჯეტშიც, პროგრამების მიხედვით, მოხდეს იმის განსაზღვრა, თუ რას ვაკეთებთ და რა თანხა იხარჯება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის. აქვე აღნიშნა, რომ, ზოგადად, კარგი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სათემო ორგანიზაციების ჩართვა საბიუჯეტო პროცესში, რადგან ამ ადამიანებს აქვთ რეალური საჭიროებები და მათთან კომუნიკაცია გაგვიხსნიდა თვალსაწიერს.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს მუდმივი კომუნიკაცია აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სათემო ორგანიზაციებთან და მათი რეკომენდაციების და სურვილების უმეტესობა მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ყოველი წლის ბიუჯეტში. რაც შეეხება ამ მიმართულებით თანხის ხარჯვის სტატისტიკას, შესაძლებელია ისეთი მეთოდის დანერგვა, რომ აღნიშნული დამუშავებული იყოს ყველა პროექტის მიხედვით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნათია ვერძაძემ და განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა, ძირითადად არის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ადმინისტრირებადი საყოველთაო და რეფერალური პროგრამების თანადაფინანსების პროგრამა ანუ საჭიროების მქონე პირები, რომლებიც დაფინანსებას იღებენ ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდებიან სოციალური პროგრამით. ჯანდაცვის სამინისტო ახორციელებს რეფორმას და საყოველთაოს ფარგლებში დაფინანსება ხდება „DRG“ მეთოდით. სოციალური წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით, დარეგისტრირებული შემთხვევების განხილვა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ საჭიროების მქონე ადამიანები არ იყვნენ გაწერილი კლინიკიდან, თუმცა, ჯანდაცვის სამინისტოს ცვლილების მიხედვით, „DRG“ მეთოდით დაფინანსებისთვის, შემთხვევებს კოდი მიენიჭება დასრულებისას. აღნიშნულს ეწინააღმდეგება „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ დღეს მოქმედი წესი და აქედან გამომდინარე, იმისთვის, რომ მოხდეს საჭიროების მქონე ადამიანების საკითხის განხილვა, წარმოდგენილი პროექტით, სამედიცინო დაწესებულებებს ეძლევათ შესაძლებლობა, შემთხვევა დასაფინანსებლად წარმოადგინონ პაციენტის გაწერიდან 48 საათის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც აფერხებს მოძრაობას, მოხდება თვლების ბლოკირება და გათვალისწინებულია კანონის შესაბამისად დადგენილი მინიმალური თანხები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა არქიტექტურის სამსახურის უფროსმა თეიმურაზ ბოლოთაშვილმა და განმარტა, რომ ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ კანონში გაიზარდა მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის განაკვეთის ზედა ზღვარი და გახდა 10 ლარი. აქედან გამომდინარე, პროექტით წარმოდგენილია განაკვეთის განსაზღვრა 2023 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის ბოლომდე 6 ლარის ოდენობით, ხოლო 2024 წლის პირველი იანვრიდან 2024 წლის ბოლომდე - 8 ლარით. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისთვის მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი არ იზრდება და რჩება 4 ლარი.

საბა ბუაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, მომავალში გავითვალისწინოთ სამშენებლო ნებართვის მოსაკრებლის გაზრდა ინდივიდუალური სახლებისთვისაც, რადგან არ აქვს არავითარი სოციალური ეფექტი და ამასთანავე, მათი მშენებლობა, გარკვეული თვალსაზრისით, წინააღმდეგობაში მოდის მუნიციპალიტეტის ურბანულ პოლიტიკასთან, რომელიც ითვალისწინებს შემჭიდროვებულ ქალაქს და ამასთანავე, გაიზრდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავალი.

ლევან ჟორჟოლიანი დაეთანხმა საბა ბუაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით შესაძლებელია მსჯელობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა არქიტექტურის სამსახურის უფროსმა თეიმურაზ ბოლოთაშვილმა და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია მომსახურების საფასურის მცირედი მატება იქიდან გამომდინარე, რომ დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მშენებლობის ნებართვის გაცემის სხვადასხვა ეტაპზე, სამსახურს სჭირდება უფრო მეტი და ფართო შინაარსის მქონე დოკუმენტების განხილვა და აღნიშნულის განხორციელება დაჩქარებული წესით, არარელევანტურია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ (ს/ნ.: 402176943) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ პროექტის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ ვადები ამოიწურა და აქედან გამომდინარე, საჭიროა ა(ა)იპ-ს ლიკვიდაცია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „სსიპ ქალაქ თბილისის N32 საჯარო სკოლისთვის ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძემ და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის ბიოგრაფიები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს

უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტის ფარგლებში, მესაკუთრეებს გადაეცემათ გარემონტებული ბინები, თუმცა, არის ერთი პროექტი, რომლის თანახმად, 2019 წელს გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანია, მუნიციპალიტეტს გადასცემს ფართებს თეთრი კარკასის მდგომარეობაში. წარმოდგენილი ცვლილებით, იმ ოჯახებს, რომლებსაც გადაეცემათ ფართები თეთრი კარკასის მდგომარეობაში, მუნიციპალიტეტი დამატებით გადაუხდის თანხას 1 კვ.მ.-ზე 286 ლარის ოდენობით, რათა მესაკუთრეებმა შეძლონ აღნიშნული ფართების გარემონტება. აქვე განმარტა, რომ აღნიშნული შეეხება მხოლოდ ერთ პროექტს, კერძოდ, ვარკეთილის მე-3-ში მიმდინარე პროექტს, სადაც მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ფართი შეადგენს 7500 კვ.მ.-ს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 7, კორპუსი 12-ში (ს/კ.: N01.19.20.024.030) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა/ები/ავტოსადგომი/ები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პირველი საპილოტე პროექტის ფარგლებში, ხორციელდება ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივის მე-7 კვარტალში კორპუსი 12-ის ჩანაცვლება. ჩატარებულია ტენდერი, გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია, ანაზღაურება ხდება ორი პრინციპით: ნაწილი ანაზღაურდება ადგილზე აშენებული ნამატი ფართებით და ნაწილი - თანხით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ოთხსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ნაცვლად, შენდება ათსართულიანი, 36 ბინა გადაეცემა ადგილზე მაცხოვრებელ ოჯახებს, ხოლო 54 ბინა და 7 მიწისქვეშა ავტოსადგომი - გამარჯვებულ კომპანიას ანაზღაურების ნაწილში. აღსანიშნავია, რომ უძრავი ქონების გადაცემა ხორციელდება სამუშაოების შესრულების პარალელურად და იმისთვის, რომ გამარტივდეს პროცესი და არ შეფერხდეს მშენებელი კომპანია, მუნიციპალიტეტი საკრებულოსგან ითხოვს ზოგად, წინასწარ, თანხმობას 54 ბინისა და 7 მიწისქვეშა ავტოსადგომის გადაცემაზე, რათა შემდგომ კომპანიას გადასცეს სამუშაოების შესრულების მიხედვით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N110-ში მდებარე 63.73 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.004.01.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 63 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლების IIა მიკრორაიონის კორპუსი N23-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.17.02.001.661 და N01.17.02.001.662) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 539 კვ.მ. ფართის გადაცემა ცხრა ოჯახისთვის, რომლებიც 1993-2005 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N39-ში მდებარე 74.47 კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.022.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 74 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში მდებარე 20.57 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 20 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2006 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.03.17.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 256 კვ.მ. ფართის გადაცემა ექვსი ოჯახისთვის, რომლებიც 1999-2007 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.03.17.003 და N81.03.17.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 166 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2002 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, დავით გურამიშვილის ქუჩა N11-ში მდებარე 83.82 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.128.006.01.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 83 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2004 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, რაფიელ დვალის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.014.011.01.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 83 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1997 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 113 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2010 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში 3-ში, მე-3 მიკრორაიონის კორპუსი N304ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.027.004.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 36 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 1993 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქალაქ თბილისში, თეიმურაზ ბოჭორიშვილის I გასასვლელი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.149.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 48 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1996 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, აკაკი წერეთლის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.04.313.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 143 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1993 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

22. „ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N31-ის მიმდებარედ არსებული 266 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.013.009) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სილქ როუდ ბიზნეს ცენტრისთვის“ (ს/ნ.: 203825851) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის ნაწილი დაეთმობა საჯარო სივრცეს, სადაც მოეწყობა გამწვანებული სივრცეები, კიბეები და ბაქნები. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 42000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

23. „ქ.თბილისში, შარდენის ქუჩაზე არსებული 606 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.03.061.038) ტერიტორიიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ღლონტისთვის (პ/ნ.: 01030004925) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 2640 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

24. „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.15.04.020.030) ტერიტორიიდან 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ.თბილისში, ფხოვის ქ.N6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.15.04.020.038) ტერიტორიიდან 43

კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი პი ემ ჰოტელს მენეჯმენტისთვის“ (ს/ნ.: 400307958) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 16800 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 146634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.16.104.003) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ქალაქს უბრუნდება „მზიურის“ ტერიტორია, დაახლოებით 18000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც ათეულობით წლები იყო კერძო საკუთრებაში და არაერთხელ იყო მისი განვითარების შემოთავაზება. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ტერიტორია ისტორიულად ყოველთვის იყო „მზიურის“ ნაწილი, მუნიციპალიტეტმა აწარმოა მოლაპარაკებები კერძო მესაკუთრესთან, რის შედეგადაც წარმოდგენილია კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ის შეაფასა თითქმის 24000000 ლარად, თუმცა, მოლაპარაკებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტი კერძო მესაკუთრეს გადასცემს 11877000 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთს.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, რადგან მუნიციპალიტეტისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ასეთი ტერიტორიების ქალაქისთვის დაბრუნება, რათა როგორმე შემცირდეს წლების განმავლობაში მიღებული უდიდესი ზიანი. მართალია აღნიშნული ტერიტორიის დაბრუნებაში მუნიციპალიტეტი იხდის დიდ ფასს, მაგრამ ასეთი პროექტებისთვის ღირს მაქსიმალური რესურსის გადახდა. საბა ბუაძის თქმით, ზუსტად ამ ტენდენციას ეხმიანებოდა მათი ერთ-ერთი საბიუჯეტო შეთავაზება, რომელიც ეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის ტერიტორიის მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნებას. საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ მსგავსი ტერიტორიების ქალაქისთვის დაბრუნება არის სწორი და კარგი ტენდენცია და ყოველთვის მხარს დაუჭერს ასეთ ინიციატივებს.

ანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ უდიდესი საქმეა „მზიურის“ პარკისთვის ამხელა ტერიტორიის დაბრუნება, მადლობა გადაუხადა თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც ჩართული იყო მოლაპარაკებებში და აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია თბილისს დაუბრუნდეს გასხვისებული რეკრეაციული ზონები.

ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ სხვადასხვა საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მიერ იმ ფართობის გაანგარიშება, სადაც შენდება პარკი ან გარკვეული ტერიტორია უერთდება პარკს, ხდება ისეთი მეთოდით, რომელსაც ვერ გაითვალისწინებდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო და თუ ამ ტერიტორიასთან დაკავშირებით გამოვიყენებთ ამ მეთოდიკას, ფასზე საუბარი სასაცილოა, რადგან აქ იგულისხმება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა გაშენებული პარკიდან ნახშირორჟანგის შთანთქვის ფაქტორი და უამრავი სხვა ისეთი ფაქტორი, რომლის გათვალისწინებითაც უფრო მომგებიანია აღნიშნული გადაწყვეტილება.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ „მზიურის“ ტერიტორია იმდენად მნიშვნელოვანია ქალაქისთვის, რომ მისასალმებელია მისი გაფართოვება. მნიშვნელოვანია ასევე, ისიც, რომ ამ ტერიტორიის მიერთებით „მზიური“ გაუმჯობესდება ხარისხობრივად და კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მოსმენილ – 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს“ შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ აუქციონის ფორმით განკარგული მიწის ნაკვეთის პირობა იყო არანაკლებ 80 ნომრიანი სასტუმროს კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური დამხმარე ფართებისა, არ უნდა აღემატებოდეს 20000 კვ.მ.-ს. კომპანიას, აღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადა ჰქონდა მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე, თუმცა, კორონა ვირუსის გავრცელებით გამოწვეული შეფერხებების გამო, კომპანიამ ითხოვა ვადის გაგრძელება იმ ვადით, რა ვადითაც იყო პანდემია ანუ 2 წლით და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით, ზემოთ ხსენებული პირობის შესრულების ვადად განისაზღვრება 2024 წლის 31 დეკემბერი.

ნინო წულაძის თქმით, კომპანიის წერილში მითითებულია, რომ ის ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებაზე მეტ სამუშაოს და აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, რატომ არის ვადის გახანგრძლივების არგუმენტად მოყვანილი პანდემია. მისი თქმით, ამ ეტაპზე ვადის გახანგრძლივებით, შესაძლებელია კომპანიას გაუჩნდეს სურვილი, რომ დამატებითი სამუშაოების შესრულების არგუმენტით, 2024 წელსაც მიმართოს მუნიციპალიტეტს ვადის გაგრძელების თხოვნით.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ რადგან კომპანია ახორციელებს დამატებით ინვესტიციას, უმჯობესი იქნება, რომ დამატებით ინვესტიციათან დაკავშირებით აიღოს ვალდებულება.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით, ის ახორციელებს ოცი მილიონით მეტ ინვესტიციას, ვიდრე თავდაპირველად იყო დაგეგმილი, თუმცა, ინვესტიციის ოდენობა არც თავდაპირველად ყოფილა განსაზღვრული. ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო, რომ კომპანიას უნდა აეშენებინა მინიმუმ 80 ნომრიანი სასტუმრო, თუმცა, ის აშენებს გაცილებით მეტ ნომრიან სასტუმროს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება არის მშენებლობის დასრულება მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე. მისი თქმით, მუნიციპალიტეტმა, როგორც მშენებლობის, ასევე, იჯარების კუთხით, სხვადასხვა შეღავათი მისცა თითქმის ყველა კომპანიას, ვისთანაც ჰქონდა ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, სამართლიანია ამ კომპანიისთვის შეღავათის მიცემა სამუშაოების დასრულების ვადის გაგრძელების კუთხით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს აქვს კონტროლის მექანიზმი, რაც გამოიხატება იმაში, რომ შეუძლია პერიოდულად, კომპანიას მოსთხოვოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში და აქედან გამომდინარე, მას არ ექნება შესაძლებლობა, ორი წლის მერეც მოითხოვოს მშენებლობის დასრულების ვადის გაგრძელება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ცვლილება ეხება გარდამავალ დებულებებს, კერძოდ, დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, უკვე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების ნაწილში, 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უნდა დამტკიცებულიყო განაშენიანების რეგულირების გეგმა და ასევე უნდა შეთანხმებულიყო პროექტიც. ვინაიდან განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება მოიცავს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართულობას და მათი პოზიციების მოძიებას, ამ ვადებში ვერ ჩაეტია რამდენიმე წარმოება და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ხსენებული ვადის ერთი წლით გაგრძელებას. ამასთანავე, პროექტით წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ხარვეზის შესწორება მე-16 მუხლში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

28. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032231383-03 თარიღი: 09.11.2022, N12-032232065-03 თარიღი: 16.11.2022, N12-032232162-03 თარიღი: 17.11.2022, N12-032232163-03 თარიღი: 17.11.2022, N12-0322326103-03 თარიღი: 22.11.2022, N12-0322326104-03 თარიღი: 22.11.2022, N12-0322326105-03 თარიღი: 22.11.2022, N12-0322326107-03 თარიღი: 22.11.2022, N12-032228588-03 თარიღი: 12.10.2022 (განსახილველად წარმოდგენილის მხოლოდ „ე“ პოზიცია), რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-032232065-03 წერილით წარმოდგენილი „გ“ და N12-0322326104-03 წერილით წარმოდგენილი „ბ“ და „გ“ პოზიციები, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

საბა ბუაძემ, მიხეილ კაკაურიძემ და ნინო წულაძემ გამოთქვეს მოსაზრება, რომ ამა თუ იმ საკითხის, განსაკუთრებით ურბანული და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შინაარსში დეტალურად გარკვევის მიზნით, უმჯობესი იქნება მათი განხილვა მოხდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს ვიზუალური აღქმა, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ კომისიის

წევრების, არამედ ზოგადად, საკრებულოს წევრების უფრო მეტად აქტიურ ჩართულობას ამა თუ იმ საკითხის განხილვაში.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია მსჯელობა იმაზე, რომ მომავალი წლიდან ამ მიმართულებით გვქონდეს გარკვეული სიახლეები და ზემოთ ხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

29. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ერედვის ქუჩა, N87, N81, N89, N85, N83, N91; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფატმანის ქუჩა N96, N100, N98, N84, N94, N92-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.038.178, N01.72.14.038.116, N01.72.14.038.657, N01.72.14.038.520, N01.72.14.038.117, N01.72.14.038.118, N01.72.14.038.972, N01.72.14.038.522, N01.72.14.038.368, N01.72.14.038.521, N01.72.14.056.128, N01.72.14.056.129, N01.72.14.038.112, N01.72.14.038.915) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 16000 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

30. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.19.916; N81.02.19.639; N81.02.19.917; N81.02.00.333; N81.02.95.377; N81.02.97.939; N81.02.19.638) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 55000 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, სარეკრეაციო ზონა 2-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ორმოცდარვა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. „ქ.თბილისში, ასათიანის ქ.N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.15.014.012), მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 5 ნოემბრის N3105 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 37000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია რვა მაღლივი შენობა-ნაგებობის ნაცვლად, სამის შშენებლობა, რის შედეგადაც ჯამური კ2 კოეფიციენტი მცირდება 52000 კვ.მ.-თი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ.: N01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 20000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია რვა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ნაცვლად ექვსის მშენებლობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 4-5 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი N26-ის მიმდებარედ, პეტრე იბერის ქუჩა N30; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, დ.თავდადებულის კორპ. N26-ის მიმდებარედ, ნაკვ. N112-2, ნაკვ. N112-1; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.10.06.001.229; N01.10.06.001.002; N01.10.06.001.125; N01.10.06.001.126; N01.10.06.001.278) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N415 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 16000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია ერთ საკადასტრო ერთეულზე შენობა-ნაგებობის სართულიანობის ზრდა 12-დან 14 სართულამდე, ხოლო კ2 კოეფიციენტის მაჩვენებელი და საანგარიშო ფართობი რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საბა ბუაძემ მოითხოვა სიტყვა, შეწყვიტა კენჭისყრა.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ ივნისში, საკრებულოს უმრავლესობამ მიიღო „მავნებლური და ცუდი" ცვლილება - კოეფიციენტების დაანგარიშების წესიდან აივნების გამოკლება, რითიც მუნიციპალიტეტმა დეველოპერებს დამატებით აჩუქა დაახლოებით 20% ფართის სახით. მისი თქმით, ეს იყო აბსოლუტურად არასაჭირო პრეფერენცია თუ შეღავათი, რაზეც ამბობდა, რომ „არის საშიში პრეცედენტი", რადგან ეს პროცესი გაღრმავდებოდა. განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ხდება ზუსტად იგივე და თუ მაშინ დამტკიცებული გაპით მოსარგებლეებს მიეცათ ეს შეღავათი, ეხლა ძველ დამტკიცებულ გრგ-ებზე ითხოვენ დამატებითი პრეფერენციის მიღებას და ამ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოდგენილია სამშენებლო ობიექტზე ორი სართულის დამატება. მისი თქმით, ეს არის მუნიციპალიტეტის საზიანოდ ძალიან ცუდი პრეცედენტის შექმნა და „ფულის ამოტუბვა". მისთვის გაუგებარია და არანაირი გამართლება არ აქვს იმას, თუ რატომ უნდა მიეცეს აღნიშნული პრეფერენცია ამა თუ იმ სამშენებლო კომპანიას უკვე დამტკიცებულ გრგ-ზე და ნიშნავს იმას, რომ გათვალისწინებულია დეველოპერების აბსოლუტურად ყველა ინტერესი, ხოლო ქალაქს არანაირი სარგებელი არ აქვს.

რევაზ სოხაძე გამოეხმაურა საბა ბუაძის განცხადებას და მიმართა მას: „ნუ ახდენთ ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგის და სფეროს - მშენებლობის დემონიზირებას და ნუ წარმოაჩენთ ისე, რომ რაც დეველოპერებს უკავშირდება, ყველაფერი არის ცუდი და ყველა გადაწყვეტილება არის არასწორი". მისი თქმით, კოეფიციენტების გაზრდის აკრძალვის შემდეგ, მიღებული იქნა დასუფთავებასთან, სამშენებლო მოსაკრებლის გაზრდასთან და კიდევ სხვა საკითხებთან დაკავშირებული საჭირო და აუცილებელი გადაწყვეტილებები. თუმცა, იმისთვის, რომ ძალიან არ დაზიანებულიყო სამშენებლო სფერო, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ აივნები 20%-მდე არ შესულიყო საანგარიშო ფართში, რაც არ არის სიახლე, რადგან იგივე იყო ძველი კანონმდებლობით. რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ არასწორია ის ლოგიკა, რომ უკვე დამტკიცებულ გრგ-ზე არ მივცეთ აღნიშნული პრეფერენცია, რადგან მშენებელს შეუძლია გააუქმოს ძველი გრგ და განაცხადი შეიტანოს ახლის დამტკიცებაზე, რაც იქნება ზედმეტი ბიუროკრატია. მისი თქმით, საბინაო მიმართულებით დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ქალაქში აუცილებელია სწორი განაშენიანება და ვერავინ იტყვის იმას, რომ დიდ დიღომში 12 სართულიანის ნაცვლად 13 სართულიანი კორპუსის აშენება დაკავშირებულია რაიმე ურბანულ კატასტროფასთან.

საბა ბუაძე გამოეხმაურა რევაზ სოხაძის კომენტარს და განაცხადა, რომ „ეს არის აბსოლუტური მანიპულაცია", რადგან გრგ საკრებულოს სხდომაზე იმიტომ გამოდის განსახილველად, რომ საკრებულომ გადაწყვეტილება მიიღოს თავისი დისკრეციის ფარგლებში. მისი თქმით, პროექტი მისაღები იყო დეველოპერისთვის, წარედგინა საკრებულოს, რომლისთვისაც ასევე მისაღები აღმოჩნდა და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება. ამ ეტაპზე, პროექტში არაფერი იცვლება გარდა იმისა, რომ ემატება ორი სართული და გაუგებარია, რატომ იღებს ამ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტი, რომელიც არანაირ სარგებელს არ იღებს ამ ცვლილებიდან. მისი თქმით, მიუღებელია იმაზე საუბარი, რომ სამშენებლო სექტორი ყველაზე დიდი სექტორია და ამიტომ „უდიერად არ უნდა მოვექცეთ" და ამასთანავე, ხსენებული პრეფერენცია არავითარ კავშირში არ არის საბინაო ფონდის განახლებასთან. რაც შეეხება იმას, რომ დეველოპერი გააუქმებდა ძველ გრგ-ს და წარადგენდა ახალს, აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში საკრებულოს შეეძლო უარი ეთქვა ახალი პროექტის განხორციელებაზე.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის ფუნქციაა არა ნებისმიერი გადაწყვეტილებიდან სარგებლის ნახვა, არამედ, პროცესების სწორად მართვა და წარმოდგენილი პროექტიც ემსახურება იმას, რომ მუნიციპალიტეტმა სწორად წარმართოს პროცესები. მისი თქმით, არასწორია იმაზე საუბარი, რომ უკვე დამტკიცებულ გრგ-ში ცვლილებების მოთხოვნა არ უნდა დავაკმაყოფილოთ, რადგან ეს უკანასკნელი შესაძლებელია გამოწვეული იყოს დღეს ამ მიმართულებით ბაზარზე არსებული მოთხოვნილებებით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

34. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.03.652) ინდივიდუალური სააგარაკე უბნისა და ბავშვთა დასასვენებელი ბანაკის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 ივნისის N1392 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 60000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია მიწის ნაკვეთების საზღვრების ფართების ცვლილება, კერძოდ 200-200 კვ.მ.-ს ნაცვლად, მიწის ნაკვეთები იქნება 600 კვ.მ. და ასევე, ერთ-ერთ მიწის ნაკვეთს ემატება სასტუმროს ფუნქცია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

35. „ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N42-ში; ქალაქი თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N118; N118ა; N116ბ; N116; N124ა; N116ა; N 124-ში, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.11.029.043; N01.17.11.029.035; N01.17.11.029.028; N01.17.11.029.037; N01.17.11.029.030; N01.17.11.029.013; N01.17.11.029.038; N01.17.11.029.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 82000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის და საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით. საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ში განთავსდება მაქსიმუმ ოცდათორმეტსართულიანი, ორი მრავალფუნქციური კომპლესი, ხოლო საცხოვრებელ ზონა 6-ში - მაქსიმუმ თექვსმეტსართულიანი შენობა-ნაგებობები.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ განცხადებების ნაწილში საუბარი იყო იმაზე, რომ თურმე სამრეწველო ზონა დედაქალაქისთვის არ არის მისაღები და იგულისხმებოდა კონკრეტულად ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა. მისი თქმით, თუ გადავალთ არა კონკრეტულად ამ ტერიტორიის, არამედ არეალის მთლიანობაში აღქმაზე, ვნახავთ, რომ ირგვლივ ძალიან ბევრი სამრეწველო ზონაა, მათ შორის, 31-ე საავიაციო ქარხანა, „ქართუ უნივერსალი", იქვე გადის რკინიგზა და შესაბამისად, თავის დროზე, მიმდებარე ტერიტორიებს რომ არ მინიჭებოდა საცხოვრებელი და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით განვითარების შესაძლებლობა, ეს არეალიც დარჩებოდა სამრეწველო ზონად. განაცხადა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება გრგ-ს შესაბამისად, მავნე პრაქტიკაა, ისევე, როგორც ის, რომ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის განვითარება ძირითადად ხდება საცხოვრებელი ფუნქციით, რისი ერთ-ერთი მაგალითიც არის წარმოდგენილი პროექტი, რომლის მიხედვითაც ტერიტორია ვითარდება საზოგადობრივ-საქმიანი ზონით, თუმცა უმეტესი ნაწილი დატვირთული იქნება

საცხოვრებელი ფუნქციით. ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ წარმოდგენილ პროექტს არ ახლავს სატრანსპორტო კვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმოქმედებს გაბრიელ სალოსის გამზირზე 2500 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და ამასთანავე, სამშენებლო კომპანია „ელიტა ბურჯი“ არის საქველმოქმედო ფონდის „ქართუ“ საკუთრება და საინტერესოა, რამდენად აქვს დეველოპერული საქმიანობის უფლება საქველმოქმედო ფონდს. საუბრის ბოლოს, ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ საკრებულომ უნდა იზრუნოს არა დეველოპერების ინტერესების დაკმაყოფილებაზე, არამედ თბილისის საჭიროებებზე, ურბანულ ხედვასა და ქალაქის განვითარების გეგმაზე.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ მიწის ნაკვეთი არის ფონდის საკუთრება და მუნიციპალიტეტისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა პროექტს შეითანხმებს ის და შემდგომში რას მოიმოქმედებს ამ მიწასთან დაკავშირებით. არც იურიდიული კუთხით არის რაიმე პრობლემა, რადგან ნებისმიერ კერძო მესაკუთრეს შეუძლია საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეითანხმოს და გააუქმოს ესა თუ ის პროექტი. რაც შეეხება საზოგადოებრივ-საქმიან ზონას, გენ.გეგმით, ის გათვალისწინებულია გეგმარებით კარკასზე და მათ შორის, გაბრიელ სალოსის გამზირი არის გეგმარებითი კარკასი. რევაზ სოხაძის თქმით, არაერთი მაგალითი გვქონია იმისი, როდესაც გეგმარებით კარკასზე არსებული განაშენიანების რეგულირების გეგმები შეგვითანხმებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით და როდესაც საუბარია იმაზე, რომ წარმოდგენილი პროექტით 90% უნდა იყოს საცხოვრებელი ფუნქცია, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა იძლევა ამის შესაძლებლობას. აქვე აღნიშნა, რომ ასეთ მიწაზე სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემა არ არის უფასო და ყველა ის მშენებლობა, რომელიც ვითარდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით და ესაჭიროება ზონალური ცვლილება, მუნიციპალიტეტს გადასცემს 4% ფართს, რაც ამ უკანასკნელს სჭირდება თბილისში არსებული საბინაო ფონდისთვის, რათა განხორციელდეს დაგეგმილი სოციალური პროექტები. რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტი არის ძალიან კარგი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება და ვერავინ იტყვის, რომ სარეკრეაციო ზონები ცოტაა ან კორპუსების განლაგებაა არასწორი. რევაზ სოხაძემ ასევე, განმარტა, რომ გენ.გეგმის მიხედვით, თბილისი უნდა განვითარდეს კომპაქტურად. მაშინ, როდესაც ეს უბნები შენდებოდა, იყო სხვა მოცემულობა - თბილისი იყო გაცილებით პატარა ქალაქი და შესაბამისად, იმდროინდელი თბილისისთვის სამრეწველო ზონები და უბნები იყო პერიფერია. ხოლო შემდგომ, ათწლეულების განმავლობაში, ქალაქი გაიზარდა და ეს სამრეწველო ზონები აღმოჩნდა საცხოვრებელი უბნების შუაგულებში და დღეს, ქალაქის განვითარებიდან გამომდინარე, სწორია, რომ ქალაქი განვითარდეს კომპაქტურად. მისი თქმით, ქალაქმა დიდ არეალზე დატოვა სამრეწველო ზონა, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ამ ტერიტორიაზე აშენდეს ფაბრიკები და ქარხნები, თუმცა, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, სამრეწველო ზონების საცხოვრებელ ზონებად გარდაქმნა არის აბსოლუტურად ბუნებრივი და ამაში ცუდი არაფერია.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ ნებისმიერ სუბიექტს, იქნება ის საქველმოქმედო ფონდი თუ შპს, უფლება აქვს, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეითანხმოს ის, რაც უნდა. დეველოპერული საქმიანობა არის სხვა რამ და ის, თუ ვინ აწარმოებს გაყიდვებს, აბსოლუტურად სხვა სამართლებრივი რეჟიმია, რომელსაც არავითარი სამართლებრივი კავშირი არ აქვს გრგ-ს შეთანხმებასთან და მშენებლობის გაცემასთან. აქვე გამოეხმაურა ფუნქციურ ზონასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ამ ტერიტორაზე სამრეწველო ზონა ვრცელდება იმიტომ, რომ ის განვითარდეს გრგ-თი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

36. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N79-ში; ქალაქ თბილისში გახოკიძის ქუჩა N79-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.19.19.003.235; N01.19.19.003.236; N01.19.19.003.237; N01.19.19.003.238; N01.19.19.003.363) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 11000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია მაქსიმუმ ათსართულიანი, ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, საცხოვრებელი ზონა 1-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

37. „ქალაქ თბილისში, ბაღდადის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.026.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 8400 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ორი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

38. „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.007.041) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 10000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია თორმეტსართულიანი, სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისზე, თელეების მიწაზე; ქალაქ თბილისში, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.18.919; N72.16.18.959) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N426 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 15000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია 4500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დამატება, რომელზეც განთავსდება ოთხი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობა, რომელთა მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 15 მეტრით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

40. „ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.338) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის N158 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 10000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია N3 ბლოკისთვის ერთი სართულის მოკლება და N1 და N2 ბლოკებისთვის თითო-თითო სართულის დამატება, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

41. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.N12-14-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N269 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 20700 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია A1 სექტორისთვის ერთი სართულის მომატება და A2 და A3 სექტორებისთვის მიწისქვეშა ავტოსადგომების და მიწისქვეშა შენობა-ნაგებობის დამატება, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

42. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „აურადეველოპმენტის“ (ს/ნ.: 405563117) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ - მდებარე მიწის ნაკვეთთან (ს/კ.: N01.14.16.015.257) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში შპს „აურადეველოპმენტი“ 188000 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, ნუცუბიძის ფერდობზე, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის მატების უფლებას 1.5-დან 2.5-მდე. აღსანიშნავია, რომ არქიტექტურული პრეფერენციებიდან, პრეფერენცია წარმოდგენილია მხოლოდ სიმაღლის განმსაზღვრელ ნორმებზე, ხოლო პარკინგებთან დაკავშირებულ პრეფერენციას ეთქვა უარი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 7 დადგენილება და 34 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი